F75 / 6753
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

№ 226 (20567) ◆ კვირა, 1 ოქტომბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გარდაქმნა — პარტია — სოციალიზმი

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა კიევში 1989 წლის 28 სექტემბერს გამართულ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ძვირფასო ამხანაგებო! უწინარეს ყოვლისა, მინდა დიდი კმაყოფილება გამოვთქვა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის შედეგების გამო. აქ არ მოვყვები დაწვრილებით ანალიზს და აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს პლენუმი მთელი თავისი მუშაობითა და მიღებული გადაწყვეტილებებით ცხადყოფს უკრაინის კომპარტიის უდიდეს პოტენციალს, ეს კი მმატებს უფრო დიდ რწმენას, რომ უკრაინელ კომუნისტებს, უკრაინელ მშრომელებს ხელეწიფებათ გადაწყვიტონ ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დადგა გარდაქმნის ამ გარდამტეხ ეტაპზე.

გისურვებთ ყველას დიდ წარმატებას, გილოცავთ პლენუმის შედეგებს, პასუხსაგები გადაწყვეტილებების მიღებას, — ისინი მიღებულია მოფიქრებულად, აწონილ-დაწონილად, დემოკრატიულად. გილოცავ ამხანაგ ვლადიმერ ანტონის ძე ივაშკოს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე არჩევას.

მინდა ერთხელ კიდევ ვთქვა: უკრაინა ერთ-ერთი უდიდესი მოკავშირე რესპუბლიკაა. დიდია მისი ხვედრითი წილი ქვეყანაში. აქ თავმოყრილია მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის დიდი რაზმები, აქ არის დიდი მეცნიერება, მსხვილი მანქანათმშენებლობა. იმაზე, თუ როგორ წარიმართება შემდგომში საქმეები რესპუბლიკაში, დიდად იქნება დამოკიდებული თვით გარდაქმნის მიმდინარეობა ქვეყანაში. ეს განსაზღვრავს კომუნისტთა პასუხისმგებლობასაც რესპუბლიკის შემდგომი განვითარების, და საერთოდ, გარდაქმნის ბედისათვის.

ყოველივე ეს უშუალოდ უკავშირდება იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც პრინციპული პოზიციებიდან განვიხილეთ ახლახან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე.

ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგებს, როგორც უკვე შეიძლებოდა დავრწმუნებულიყავით მისი მუშაობის დამთავრების შემდეგ განვლილ დღეებში, ცხოვლად და დაინტერესებულად იხილავენ პარტიაში, ქვეყანასა და, ვთქვათ პირდაპირ, მთელ მსოფლიოში.

გამოთქმული მოსაზრებებისა და შეფასებების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად — ეს კი არის — ფართო საზოგადოებრივი აზრი ერთიანია იმის აღიარებაში, რომ მის გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული და დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სკკპ მორიგი, XXVIII ყრილობის მოწვევის ვადების მოახლოების, ისე პარტიის ახალი ეროვნული პოლიტიკის მიმართ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე კოლექტიური მეცადინეობით შევძელით გადაგვედგა ახალი ნაბიჯი პარტიის მიერ დაწყებული რევოლუციური გარდაქმნების დიალექტიკის შეცნობის გზაზე.

გარდაქმნის პროცესების კონტექსტით პლენუმზე გაიმართა დიდი სჯა-ბაასი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განახლების შესახებ. ეს საკითხი აღელვებს ბევრს, და არა მარტო კომუნისტებს. ამის გამო გამოითქმის სხვადასხვა, ზოგჯერ პირდაპირ საწინააღმდეგო მოსაზრებანი. კერძოდ, კვლავაც დაჟინებით უპირისპირებენ ერთმანეთს პარტიასა და სახელმწიფოს, პარტიასა და ხალხს. გვაჩეჩებენ პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან პარტიის სრული ჩამოცილების, სახელმწიფო და პრაქტიკულად ყოველი საზოგადოებრივი საქმიდან მისი ამოგდების იდეას.

ისეთ მოსაზრებებსაც კი ვხვდებით, რომ პარტიული ორგანოების, ამასთან თვით ცენტრალური კომიტეტისა და ყრილობის, გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ წმინდა შინაპარტიული ხასიათი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ახდენდნენ გავლენას ქვეყნის საზოგადოების ცხოვრებაზე. ეს არის ყველაზე უკიდურესი ვარიანტი პარტიის, პარტიული პოლიტიკის დაპირისპირებისა ყველაფრისადმი, რაც კეთდება ქვეყანაში.

ჩვეულებრივ მოჰყავთ ასეთი არგუმენტები: დღეს პარტიას არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა ქვეყნისათვის, მისი მომავლისათვის, რადგან მას ტვირთად აწევს წარსულის შეცდომები. რა თქმა უნდა, შეცდომებიც იყო, პარტია მათთვის პასუხს აგებს, არავინ არ ცდილობს ჩამოაწეროს მას ისინი. მაგრამ ასეთ შეფასებას რომ გამოვთქვამთ, უფლება არა გვაქვს, — ეს იქნებოდა სხვაგვარი დამახინჯება, ამასთან არანაკლებ სერიოზული — ხაზი გადავუსვათ სოციალიზმისათვის, მშრომელთა საქმისათვის პარტიის ბრძოლის მთელ ათწლეულებს. და ყველაზე მთავარი ის არის, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ იკისრა აპრილის შემობრუნების ინიციატივა, წამოაყენა პრინციპულად ახალი პოლიტიკა და სათავეში ჩაუდგა გარდაქმნას.

ჯერაც ყველას ახსოვს პოლიტიკა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ხორციელდებოდა, როცა დაგროვდა და ერთმანეთზე დაშრევდა საზოგადოებრივი განვითარების უამრავი ურთულესი პრობლემა. ამ ბარიერებზე გადაბიჯება ადვილი არა ყოფილა. მაგრამ ეს ვქენით. პარტიის ამოცანა იყო დროულად დაესვა დიაგნოზი, ხელი მოეკიდა სენის მკურნალობისათვის, რომელიც ღრმად გაუჯდა საზოგადოებას ძვალსა და რბილში.

სწორედ ამიტომაც უთხრა პარტიამ ხალხს სიმართლე შექმნილი სიტუაციის შესახებ და შესთავაზა ისეთი პოლიტიკა, რომლის რეალიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს გამოვიყვანოთ ქვეყანა კრიზისული ვითარებიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა.

ეს უდიდესი, ურთულესი ამოცანაა. ახლა ეს განსაკუთრებით კარგად გვესმის. ალბათ, ბევრს ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ფიზიკურად იძაბება ვითარება საზოგადოებაში. ანათებს ელვა, გაისმის მეხის ხმა.

ამ პირობებში, ვფიქრობ, განსაკუთრებით საჭიროა გონიერება და პოლიტიკური ნება, რომლებიც შეიძლება უზრუნველყოს ისეთმა ორგანიზაციამ, როგორიც პარტიაა. რა თქმა უნდა, საბჭოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან ერთად, ყველასთან ერთად, ვისთვისაც ძვირფასია გარდაქმნის ბედი.

და სხვა მიდგომა დღეს არ შეიძლება იყოს. ჩვენ ყველანი განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ ლენინის იმ სიტყვების სიმართლეს, რომ დაუშვებელია განყენებულ დისკუსიათა ფუფუნება ყველაზე გაცხარებულ ხანაში, როცა მთელი ძალები უნდა გავაერთიანოთ და საქმეს მოვახმაროთ.

საკითხი ასე დგას: წავალთ წინ ახლად შეძენილი დემოკრატიული გამოცდილების საფუძველზე ნორმალური, ეფექტიანად მომუშავე პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებისაკენ, თუ დავიხევთ უკან, ძველი წესებისაკენ. არ უნდა დავუშვათ წარსულის დაბრუნება, ისევე როგორც დაუშვებელია ექსტრემიზმის გამოვლინებანი, ჩვენი სახელმწიფო ხომალდის ხელოვნური „რყევა“.

ამას მტკიცედ ვამბობთ, რადგან პარტია იყო და არის მთავარი მაორგანიზებელი და მაკოორდინირებელი ძალა, რომელსაც შეუძლია გაუძღვეს ხალხს ღრმა სოციალისტური განახლების გზით, შეასრულოს მაინტეგრირებელი და მაკონსოლიდირებელი როლი საზოგადოებაში და, პირდაპირ ვიტყვით, არ დაუშვას მოვლენების არასასურველი, დრამატული განვითარება.

პარტიის, საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეზე მისი ფუძემდებელი ზემოქმედების გარეშე გარდაქმნა არ გამოგვივა.

ამა წლის ივლისში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე საფუძვლიანად და კრიტიკული სულისკვეთებით განვიხილეთ პარტიის საქმიანობის, საბჭოებთან, პოლიტიკური სისტემის სხვა რგოლებთან მისი ურთიერთობის მთავარი ასპექტები, იდეოლოგიური მუშაობისა და შინაპარტიული ცხოვრების კონცეფცია. პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიღეს დროის შესატყვისი გარდაქმნის ორიენტირები. ეს მათ ჰმატებს რწმენას, ხელს უწყობს გააქტიურებას გარდაქმნის წინსვლაში.

დღეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ერთხელ კიდევ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ განახლებულ საზოგადოებაში მოვლენათა მიმდინარეობაზე რეალური ზემოქმედება შეუძლია მხოლოდ განახლებულ პარტიას, რომელიც მტკიცედ იტყვის უარს იმაზე, რაც ამახინჯებდა და აუკუღმართებდა მის ლენინურ სახეს, მუშაობის დემოკრატიულ მეთოდებს.

დადგა ჟამი, როცა თითოეული კომუნისტისათვის უკვე დაუშვებელია ლოდინი, თავის არიდება აქტიური საზოგადოებრივი პოზიციისათვის, ზოგჯერ კი პესიმისტური, მარცხმოსურნეობითი განწყობილებანი. დაბნეულობა სუსტთა წილხვედრია. ნამდვილ კომუნისტს უნდა შეეძლოს იმოქმედოს რევოლუციურად ყველაზე რთულ პირობებში.

როცა პარტიაზე ვლაპარაკობ, მინდა გამოვყო რამდენიმე საკითხი.

პირველი. უკანასკნელი დროის მოვლენებმა განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენა იმის საჭიროება, რომ პარტიამ კვლავ მთელი ხმით განაცხადოს, რომ იგი არის პარტია, რომელიც დაადგა სოციალიზმის ღრმა განახლების კურსს, რომ არის მუშათა კლასის პარტია — მთელი ხალხის ინტერესების დამცველი.

ვფიქრობ, შეუმჩნეველი არ დაგრჩებოდათ ცალკეული „თეორეტიკოსების“, ჯგუფებისა და მოძრაობების ცდები — განხეთქილება შეიტანონ მუშებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის. არიან ძალები, რომლებიც არ მალავენ თავიანთ ანტისოციალისტურ მიზანმიმართულებას. ისინი ლამობენ ხელთ იგდონ ძალაუფლება და ამისათვის ეძებენ მუშათა კლასის მხარდაჭერას. ისინი ცდილობენ გაასაღონ მისი ინტერესების თავგამოდებულ გამომხატველებად და დამცველებად პარტიის საპირისპიროდ, აყენებენ საკითხს მისი თვითლიკვიდაციის შესახებ. ასეთი იდეების მატარებლები არიან თქვენშიც, უკრაინაში.

მუშათა კლასს მიმართავენ ისინიც, ვინც ყველაზე გულახდილად გამოთქვამს უკმაყოფილებას პარტიის განახლების, ზოგიერთ წინანდელ ფუნქციაზე უარის თქმის თვით ფაქტისა და უმეტესად იმის გამო, რომ მან თავი დაუქვემდებარა ხალხის საჯარო კონტროლს, „წამოიწყო დემოკრატია“, თითქოსდა კარგავდეს საკუთარ ავანგარდულ როლს.

არის ცდები, შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს გარდაქმნა ემყარებოდეს მარქსისტულ-ლენინური აზრის საფუძვლებისაგან გადახვევას და ამიტომ ქვეყანას ქაოსში აქცევდეს.

ყოველივე ეს ცილისწამებაა პარტიაზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ შეუძლია დაეუფლოს სიტუაციას, გამოიყენოს წინანდელი ძალისმიერი მეთოდები, ეს, ამხანაგებო, საშიში ცდომილებაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ხალხს შესთავაზა და ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მის ინტერესებსა და მისწრაფებებს. დაიცავს ამ პოლიტიკას, გააღრმავებს, შეასწორებს მას რეალობათა გათვალისწინებით. კვლავაც დაეყრდნობა იგი მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის მხარდაჭერას, გამოხატავს სოციალისტური არჩევანის იდეოლოგიას. ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრინციპული სტრატეგიული კურსია.

მეორე. მინდა შემდეგ ხაზი გავუსვა ასევე პარტიული მშენებლობის საკვანძო საკითხს: ჩვენ საკავშირო სახელმწიფოს, ხალხთა ფედერაციის მომხრენი ვართ, და ამავე დროს მხარს ვუჭერთ პარტიის ერთიანობას, რომელიც საზოგადოების კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

პარტია შეიცავს ყველა სოციალური ჯგუფის, ყველა ეროვნების წარმომადგენლებს. დღეს ქვეყანაში არ არის ძალა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასავით შეუძლია ასევე ფართოდ მოახდინოს სხვადასხვა რესპუბლიკისა და ავტონომიის მიზნების ინტეგრაცია, აღმოფხვრას გაუგებრობანი და უთანხმოებანი, გამოხატოს საერთო ინტერესები, აქტიურად ეძებოს საერთო-ეროვნული კონსენსუსი.

მესამე. მინდა შევეხო ასეთ საკითხს. პარტიული ორგანოების, მათი აპარატის მუშაობის გარდაქმნა საჭირო ელემენტად შეიცავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და თვითმოქმედ მოძრაობებთან მუდმივი ნაყოფიერი დიალოგის მოგვარებას.

ეს ამჟამად განახლების პროცესების გაღრმავების, გარდაქმნის სოციალური ბაზის გაფართოების, თუ შეიძლება ასე ითქვას, პარტიის მიერ, როგორც ქვეყანაში მტკიცე სამოქალაქო მშვიდობის ინიციატორისა და პოლიტიკური გარანტის, ავტორიტეტის გამომუშავების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

მრავალ პარტიულ მუშაკს აცბუნებს ახლად წარმოშობილ საზოგადოებრივ ძალებთან თანამშრომლობის იდეა. აცბუნებს უფრო იმიტომ, რომ ზოგიერთი ეს ძალა არ მალავს თავის დესტრუქციულ და პატივმოყვრულ მისწრაფებებს.

მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოძრაობის დებულებებსა და საქმიანობაში ჩვენთვის მიუღებელ შეხედულებებთან ერთად არის არცთუ ცოტა ისეთი რამ, რასაც მხარი უნდა დავუჭიროთ, რაც უნდა ჩავრთოთ გარდაქმნის საერთო ნაკადში.

ამ საკითხებში, ამხანაგებო, ბოლომდე უნდა გავერკვეთ. ან ჩვენ ვცნობთ სხვათა აზრებისა და მოქმედების დამოუკიდებლობის უფლებას, ვაწარმოებთ აქტიურ მუშაობას, რათა ჩვენს მხარეზე გადმოვიბიროთ საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი სიმპათიები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვამრავლებთ გარდაქმნის მამოძრავებელ ძალებს, ანდა გადავიქცევით ხელმძღვანელი როლის პრეტენზიების მქონე კარჩაკეტილ ორგანიზაციად.

პოლიტიკური დიალოგი მარტო პოლიტიკური დემოკრატიის პირობებში ჩვენი ლიდერობის საფუძვლიანობის დადასტურების ხერხი როდია. ეს ამ გარემოში თანამემწეებისა და მოკავშირეების შეძენის საიმედო ხერხიც არის.

ახლა ქვეყანაში სწრაფად მიმდინარეობს პროფკავშირისა და კომკავშირის მიერ თავიანთი ახალი როლის გააზრების პროცესი — უწინარეს ყოვლისა, შრომითს კოლექტივებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არა მარტო მიესალმება ამას, არამედ ყოველნაირადაც შეუწყობს ხელს ამ პროცესს.

მეოთხე. ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაზე პარტიის პოლიტიკური ზემოქმედების ახალი ფორმებისა და მეთოდების ათვისების შესახებ. როგორია აქ ჩვენი პოზიცია? ეს არის ის, რომ პარტია თავს არ არიდებდა და არც ახლა არიდებს პასუხისმგებლობას ამ მიმართულებით პრობლემათა გადაჭრისათვის. პრინციპული თვალსაზრისით გეზი ნათელია: თავის პოლიტიკურ კურსს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახორციელებს ხელისუფლების ორგანოებში, წარმოებაში მომუშავე კომუნისტების მეშვეობით და ასე შემდეგ. ეს როლი რომ შეასრულოს, პარტიული კომიტეტი ზუსტად უნდა გაერკვეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში, იქნება ეს რესპუბლიკა, ოლქი, რაიონი თუ შრომითი კოლექტივი, განიხილოს ისინი ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, აწონ-დაწონოს შესაძლო ვარიანტები და წამოაყენოს ოპტიმალური გადაწყვეტა.

ამ მუშაობისათვის სასიკეთო ვითარება იქმნება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ საკუთრების, არენდისა და საარენდო ურთიერთობის, მიწის, ერთიანი საგადასახადო სისტემის შესახებ და მთელი რიგი სხვა ახალი კანონების მიღება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო შედეგიანად განვაგრძოთ ეკონომიკური გარდაქმნები, საქმით შევასხათ ხორცი უზარმაზარ პოტენციალს, რომელსაც შეიცავს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა.

საჭიროა, შევცვალოთ მიდგომები პრაქტიკულ მუშაობაში. ბევრმა მოუკლო ბრძოლას და კონკრეტულ მუშაობას იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც ეხება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მოწყობილობის განახლებას, ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებას, ხანგამძლეობისა და საიმედოობის ზრდას, ერთეულ პროდუქციაზე შრომის, ენერგიისა და მასალების დანახარჯის შემცირებას, ტექნოლოგიური დისციპლინის, ეკონომიისა და ყაირათიანობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელებას, მოკლედ რომ ვთქვათ, შეანელა ყურადღება შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდისადმი.

ეს უნდა გამოვასწოროთ. სხვაგვარად გაგვიჭირდება, ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავს ვერ დავაღწევთ მძიმე ფინანსურ სიტუაციას, ვერ დავძლევთ კრიზისულ მოვლენებს ეკონომიკაში. გამოსავლად მიგვაჩნია ეკონომიკური რეფორმის თანამიმდევრული და მტკიცე განხორციელება ყველა მისი პარამეტრით და ამავე დროს ფინანსური გაჯანსაღების მკაცრ ღონისძიებათა მიღება.

მეხუთე. საზოგადოების განვითარების ახლანდელი ეტაპი მოითხოვს პარტიის, თითოეული მისი ორგანიზაციის ძალების მაქსიმალურ დაძაბვას. უდიდეს მნიშვნელობას იძენს პრაქტიკული მუშაობა, ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლი.

(დასასრული მე-2 გვ.).

მოგილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, პირველი შეხვედრა „დედა ენასთან“ — „დიდი ძია იაკობის“ უკვდავ წიგნთან. ამ წიგნის მადლს თაობები ეზიარა, ამ წიგნის ლაზათმა თაობები დააფრთიანა, ამ წიგნის ნათელი უნდა წარგვიძღვეთ თქვენ — ჩვენო პატარებო — ცხოვრების გზა-სავალზე. და სადაც უნდა იყოთ, და რა დიდ საქმეებსაც უნდა შეეჭიდოთ, „დედა ენით“ გამთბარი სული შეუძლებელს შეგაძლებინებთ.

თქვენ უკვე უნდა გესმოდეთ, რომ „დედა ენის“ ღრმად დაუფლება, მისი სამყაროთი სუნთქვა გადაარჩენს ჩვენს მშობლიურ ენას, ჩვენს მამულს, ჩვენს სარწმუნოებას...

მაშ, გულდინჯ მოგზაურობას გისურვებთ „დედა ენის“ ზღვა სამყაროში.

აბა, თქვენ იცით და თქვენმა სიბეჯითემ!

საქართველოს ახალგაზრდობას!

ჩვენო ძვირფასო ახალგაზრდებო, ერის იმედო და მომავალო! ახალი სასწავლო წელი იწყება რესპუბლიკის სასწავლებლებში, კვლავ გაცოცხლდება საკლასო ოთახები და აუდიტორიები, ასიათასობით ბავშვი, ქალიშვილი და ჭაბუკი მიუჯდება მერხს, რათა დაეუფლოს ცოდნას, ნელნელა და ბეჯითად შეიმზადოს თავი, მამულს გამოადგეს.

ცოდნა იარაღია, უძლეველი იარაღი, თანაც ისეთი, რომელიც კი არ ანგრევს და სპობს, არამედ აშენებს და ქმნის, ის ამაღლებს ყველას, მასწავლებელსა და შეგირდსაც, მთელ საზოგადოებას, სამშობლოს.

ჩვენ რთულ, წინააღმდეგობებით სავსე, მაგრამ უაღრესად საინტერესო ხანაში ვცხოვრობთ. ესაა გარდაქმნის, იმედის ხანა. ინგრევა ძველი, დრომოჭმული სტერეოტიპები, თანდათან მძლავრობს დემოკრატიის, ჰუმანიზმის, ეროვნული და ზოგადკაცობრიული იდეალები.

საზოგადოების არცერთ ფენას არ ხელეწიფება ისე გაბედულად ამ გზით სიარული, როგორც წარსულის ტვირთისაგან თავისუფალ, გაბედულ და მართალ ახალგაზრდობას, იმას, ვინც პირველად გადაშლის დედა ენას, ვინც ხვალ და ზეგ ჩამოყალიბებულ სპეციალისტად, ინჟინრად და ექიმად, მასწავლებლად, მეცნიერად, მუშად, გუთნისდედად უნდა მოგვევლინოს. რესპუბლიკის მომავალს, მის სიძლიერეს ყველა მათგანის თავდადებული, მაღალკვალიფიციური, ეროვნული თავმოყვარეობით განმსჭვალული შრომა სჭირდება.

სწორედ ამისთვისაა აუცილებელი დაულალავი სწავლა, მეცნიერების საფუძვლების დაუფლება, მის საიდუმლოებებში ჩაღრმავება. სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ ჩვენს სტუდენტობას, რომელთა ლაშქარს წელს განსაკუთრებით ბევრი ახალგაზრდა შეემატა — კვლავაც და უფრო მეტად იყავით მოწოდების სიმაღლეზე, სამშობლოსათვის, სიკეთის სამსახურისათვის თქვენი მზაობა, თქვენი უშრეტი ენერგია და სამაგალითო თავდადება მაღალი აზრით, ცოდნით უნდა იყოს გაცისკროვნებული, უპირველესად სწორედ ცოდნის ლამპარი უნდა გვინათებდეს არც თუ იავარდებით მოფენილ წინსავალ გზას.

ეროვნული თავმოყვარეობა უკიდეგანო, აუწონავი ცნებაა, ის უშუალოდ უკავშირდება ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობასაც. და რაოდენ საჭიროა დღეს, თუკი მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთან მხარდამხარ სიარული გვსურს, მაღალ კულტურასთან, ზნეობასთან, სულიერი განვითარების სფეროში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად ეროვნული ზრუნვის საგნად იქცეს ჩვენი ხელით შექმნილი დაზგა და მანქანა, ჩვენი ზვრები და მინდვრები, ჩვენგან მოსავლელი ყოველი გოჯი მშობლიური მიწისა. ამასაც ცოდნა, უპირველესად სწავლა და გარჯა სჭირდება. ამ იმედით შევყურებთ ჩვენს მომავალ თაობას, მით უმეტეს, რომ სწავლამოწყურებული ახალგაზრდებისათვის თანდათან სულ უფრო ფართოდ იღება უცხოეთის საუკეთესო სასწავლებელთა კარიც.

განსაკუთრებით უნდა მივმართოთ ჩვენს პედაგოგებს, პროფესორ-მასწავლებლებს — ერმა თქვენ ახალგაზრდობის სული და გონება, ქვეყნის მომავალი ჩაგაბარათ. თვალისჩინივით გაუფრთხილდით მას, გაითავისეთ მათი სატკივარი, აზიარეთ ცოდნას, მაღალი მოქალაქეობის, ზნეობის საგანძურს, კვლავაც ედექით ბურჯად ერის წინსვლას, მის პატარა მოქალაქეებს უჩვენეთ ჭეშმარიტი მამულიშვილობის მაგალითი.

უნდა გავუფრთხილდეთ თაობათა კავშირსაც, უფრო ორგანული, ბუნებრივი, საქმიანი უნდა გავხადოთ ის. ჩვენ ყველანი ჩვენი წინაპრებიდან, ჩვენი მამა-პაპადან მოვდივართ, მათ ნათელ საქმეებზე, წარმატებებზე და შეცდომებზე ვიზრდებით. ნებისმიერ ოჯახს შვილები, ახალგაზრდობა აკავშირებს, ადუღაბებს. სწორედ ახალგაზრდობამ უნდა შეკრას და გაამთლიანოს მისი ყველა ძარღვი, თუკი სადმე ბზარი გაჩენილა. ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელსაც ახლა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა განიხილავს, ჩვენი კონსოლიდაციის წინაპირობაა. ეს არ გამორიცხავს კამათს, დისკუსიას, ჭეშმარიტების მოთმინებით ძიებას.

დიდი იმედი გვაქვს ახალგაზრდობისა იმაშიც, რომ ის თავის მოქალაქეობრივ, მართალ სიტყვას იტყვის რესპუბლიკის რიგ რეგიონებში ხელოვნურად წარმოქმნილი სიძნელეების, გაუგებრობების მოსაგვარებლად. ჩვენი ზნეობით, აზრით და საქმით ძალგვიძს კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ, რომ ჩვენმა ხალხმა იცოდა, იცის და მომავალშიც ეცოდინება მტერ-მოყვარის გარჩევა, სამართლიანობის, ჰუმანიზმის, სიკეთის, მოყვასის სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის ფასი. ეს ხომ ჩვენი ცხოვრების წესია.

გულწრფელად გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, ცოდნით სავსე, მაღალინტელექტუალური, ამაღლებული საქართველოს შენებისაკენ შემობრუნების წელი ყოფილიყოს ის.

საქართველოს კომპარტიის
ცენტრალური
კომიტეტი

საქართველოს სსრ
უმაღლესი
საბჭო

საქართველოს სსრ
მინისტრთა
საბჭო

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

28 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუმბარიძე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩიტანავა შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

გაიმართა პრინციპული, გულახდილი სჯა-ბაასი სამხრეთ ოსეთში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს გააქტიურდნენ ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობის დეზინფორმაციით, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების ჰიპერტროფირებით, პროვოკაციული განცხადებებით, წაქეზებითა და შესაბამისი აქციებით ცდილობენ მოახდინონ პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების დესტაბილიზაცია ავტონომიურ ოლქში, ერთმანეთს დაუპირისპირონ ქართველი და ოსი ხალხები, ბზარი შეიტანონ საუკუნეების განმავლობაში ერთობლივი ბრძოლითა და შრომით განმტკიცებულ მეგობრობაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს ორი ხალხი ყოველთვის ინტერესთა თანხმობით, ერთი საერთო მიზნით ცხოვრობდა და დღეს აუცილებელია მიღებული იქნეს ყველა საჭირო ზომა, რათა ჩრდილი არ მიადგეს ამ ძირძველ ტრადიციებს, განმტკიცდეს რწმენა იმისა, რომ ქართველი და ოსი ხალხები კვლავაც ერთად, თანადგომითა და თანხმობით იცხოვრებენ. ესაა რეალობა, რომელსაც სხვა ალტერნატივა არა აქვს.

ხოლო იმათ, ვისაც ეს ხელს არ აძლევს, ვინც ხელოვნურად ძაბავს ვითარებას, არად დაგიდევს საზოგადოებრივ აზრს, მართლწესრიგის მოთხოვნებს, პასუხი უნდა აგონ კანონისა და ხალხის წინაშე. სწორედ ამ სულისკვეთებითა და კონკრეტული პასუხისმგებლობით უნდა განიმსჭვალოს ყველა მოქალაქე, ინტელიგენცია და ახალგაზრდობა, ყველა შრომითი კოლექტივი, პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოები. უფრო ქმედითად, სალი, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციიდან უნდა აიმაღლოს ხმა მთელმა საზოგადოებრიობამაც. ყველამ უნდა გაითავისოს და პრაქტიკული ნაბიჯებით შეასხას ხორცი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მ. ს. გორბაჩოვის მითითებებს წესრიგისა და კანონიერების განმტკიცების, სახალხო მეურნეობის რიტმული ფუნქციონირების, ტერიტორიული პრეტენზიების უაზრობის, ყველა ეროვნების ადამიანთა ურთიერთპატივისცემის, მათი ენისა და კულტურის განვითარების, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განუხრელად დაცვის საარსებო აუცილებლობის შესახებ.

შეხვედრისას გამოითქვა ავტონომიურ ოლქში შექმნილი მდგომარეობის განმუხტვის კონკრეტული წინადადებები, მოსაზრებები. ხაზი გაესვა, რომ შემუშავდება ღონისძიებათა კომპლექსი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მთელი რიგი პრობლემების გადასაწყვეტად, კვლავაც შეიქმნება ხელშემწყობი პირობები ოსური ენის განვითარებისათვის. უფრო აქტიური ზრუნვის საგანი გახდება საკადრო საკითხები, ახალგაზრდობის პრობლემები და სხვ. ყველა ეს საკითხი, აღინიშნა შეხვედრაზე, მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, ურთიერთნდობითა და პატივისცემით, თანადგომითა და მშვიდ ვითარებაში შეიძლება გადაწყდეს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ჯიქია და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. მგელაძე.

(საქინფორმი).

სესიის დღიური

29 სექტემბერს მუშაობას განაგრძობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტები და მისი პალატების კომისიები. მათ უმრავლესობაში, ისევე როგორც წინა დღეებში, მიმდინარეობდა დისკუსია ქვეყნის 1990 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების გამო.

გეგმის ძირითადი მაჩვენებლების, შეწონასწორებულობის, პროპორციებისა და პრიორიტეტების მოსმენამ აგრარული საკითხებისა და სურსათის კომიტეტში გამოავლინა აზრთა მრავალფეროვნება ჩვენი ეკონომიკის აგროსამრეწველო სექტორის მდგომარეობისა და მომავლის თაობაზე. დეპუტატებმა, კერძოდ, აღნიშნეს, რომ ცენტრალურ უწყებათა საგეგმო საქმიანობა სოფლის პრობლემების გადაჭრაში სრულყოფას საჭიროებს.

— მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურისა და აღზრდის კომიტეტში ყურადღება მიაპყრეს ფუნდამენტურ მეცნიერებათა მდგომარეობის გაურკვევლობას 1990 წლის გეგმის პროექტში.

ეროვნებათა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის, ვაჭრობის, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების კომისიამ განიხილა ბოლო დროს ვაჭრობაში გამწვავებული დეფიციტის პრობლემები.

ეკონომიკური რეფორმის საკითხების კომიტეტმა დაასრულა მუშაობა სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტზე. ამ დოკუმენტის შექმნას წინ უძღოდა ხანგრძლივი დისკუსია საკანონმდებლო აქტის კონცეფციაზე, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ეკონომიკური რეფორმის ახალ ეტაპს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მართვისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხების კომიტეტმა [illegible] ამომრჩეველთა და [illegible] რიგ ორგანიზაციათა შესახებ კანონპროექტ[illegible]ვა. (საქდესი).

გარდაქმნა — პარტია — სოციალიზმი

(დასასრული)

არაფერს არ მოაქვს ისეთი საგრძნობი ზიანი საქმისათვის, როგორც ლოდინის პოზიციას, სუსტ ორგანიზატორულ საქმიანობას. აი, რატომ არის, რომ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე გაისმა მოთხოვნა, კი არ დაველოდოთ ზემოდან მითითებებს, არამედ დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ, ვიმოქმედოთ გაბედულად. საჭიროა ნაბიჯ-ნაბიჯ მოვსპოთ დაძაბულობა საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა სამომხმარებლო ბაზარზე, შევამციროთ ბინის მიღების რიგები, გადავჭრათ მომწიფებული ეროვნული პრობლემები.

გაითვალისწინა რა ყრილობისწინა პერიოდის დაძაბულობა და სირთულე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გადასინჯა წინათ მიღებული გადაწყვეტილება და გააუქმა მიმდინარე წელს პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების ანგარიშგების მოწყობა იქ, სადაც ეს გათვალისწინებული არ არის პარტიის წესდებით. ეს საშუალებას მოგვცემს მთელ ძალებს თავი მოვუყაროთ მომავალი პოლიტიკური კამპანიების მოსაწყობად, სამეურნეო-პოლიტიკურ საკითხთა გადასაჭრელად.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩეს იქ, სადაც გარდაქმნა ერთ ადგილს ტკეპნის, სადაც დიდი ხანია არ არის ცვლილებანი უკეთესობისაკენ. ამ შემთხვევებში პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის განმტკიცების საკითხი უნდა გადავჭრათ გაუჭიანურებლად, საჯაროდ და დემოკრატიულად.

ამ ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას გარდაქმნის საქმეში მშრომელი ადამიანის როლის გამო. მუშებთან და კოლმეურნეებთან — სკკპ ცენტრალური არჩევითი ორგანოების წევრებთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ამასწინანდელ შეხვედრაზე გამოითქვა მრავალი სამართლიანი შენიშვნა და წინადადება, მათ შორის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებსა და პარტიის არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობის საკითხებზე. დასკვნა ასეთია: მთლიანად უნდა ავამოქმედოთ მუშათა კლასის რევოლუციური სულისკვეთება და შემოქმედებითი პოტენციალი გარდაქმნის ინტერესებისათვის.

ამხანაგებო! მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საქმე ეხება სოციალიზმს, იმას, თუ როგორი საზოგადოება ავაშენოთ, საით მივდივართ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ კვლავ უბრუნდებით საკითხს, რომელზეც განუწყვეტლივ ვმსჯელობთ, — გარდაქმნის აზრისა და დანიშნულების შესახებ.

შეიძლება გვითხრან: რა დროს თეორიებია, როცა ამდენი მწვავე დაუყოვნებლივ გადასაწყვეტი პრაქტიკული საკითხებია? მაგრამ შეხვედრებზე, ცენტრალურ კომიტეტში, პრესაში გამოგზავნილ წერილებში, ტელევიზიით ამ საკითხებს დღენიადაგ განიხილავენ. გარდა ამისა, როგორც ლენინი ამბობდა, თუ ზოგად საკითხებში ბოლომდე ვერ გავერკვევით, ყოველთვის წავაწყდებით მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხების საფუძვლიანად არევ-დარევას ცდილობენ დღეს სწორედ ის ძალები, რომლებმაც ფრონტალური იერიში დაიწყეს პარტიის წინააღმდეგ. პარტიაზე ამ თეორიული იერიშების მიზანი ცხადია. ეს არის ის, რომ ხალხის თვალში პარტია წარმოადგინონ ისე, რომ მას „ხელი მოეცარა“ თეორიული თვალსაზრისითაც.

მაგრამ სწორედ პარტიამ უარყო გაბედულად მოძველებული დოგმატური თეორიული დებულებები, და სწორედ მან წამოაყენა ახალი თეორიული წარმოდგენები, რომლებმაც გარდაქმნის სული და გული შეადგინა. მისი კონცეფცია იშვებოდა და მტკიცდებოდა პარტიის მთელი მუშაობის მსვლელობაში, მდიდრდებოდა ახალი იდეებითა და რეალობებით. ჩვენ ვსწავლობთ საკუთარ შეცდომებზე, ვცდებით ზოგჯერ მწარე, მაგრამ ძალზე სასარგებლო გაკვეთილებს. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს — ეს ხომ ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა.

არ შემიძლია აქ არ დავასახელო პარტიის XXVII ყრილობა, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის, ივნისის პლენუმები, ოქტომბრის 70 წლისთავის დოკუმენტები, XIX პარტიული კონფერენცია. ცენტრალური კომიტეტის მარტისა და უკანასკნელი პლენუმები. ყოველივე ეს დიდმნიშვნელოვანი და სერიოზული ნაბიჯებია გარდაქმნის არსისა და დანიშნულების გააზრებაში, იმის გაგებაში, თუ რას გვინდა მივაღწიოთ სოციალისტური საზოგადოების განახლების დროს.

სოციალიზმი ერთ-ერთი ყველაზე უძლიერესი იდეაა, რომელსაც ოდესმე დაუპყრია ადამიანთა გონება. რაგინდ პარადოქსული იყოს ეს, სწორედ ჩვენს სახლში შეიძლება გაიგონოთ ხმები, თითქოს სოციალისტური იდეა ინტელექტუალური ფანტაზიის თავისებური ნაყოფი, რაღაც ანომალია იყოს, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის ბუნებას და, მაშასადამე, მოკლებულია საფუძველსა და მომავალს.

ეს არ არის ის ხმები, რომლებიც ასახავს კომუნისტების, მშრომელების აზრს, ისტორიული პროგრესის ღრმა ტენდენციებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ დგას პრინციპულ პოზიციებზე, იგი რჩება სოციალისტური იდეალების, სოციალისტური პრინციპების ერთგული, მტკიცედ ილაშქრებს დოგმატიზმის წინააღმდეგ და იცავს თეორიისადმი, კერძოდ სოციალიზმის თეორიისადმი შემოქმედებითს მიდგომას.

ჩვენმა ხალხმა არჩევანი გააკეთა 1917 წლის ოქტომბერში და, წარსულში მომხდარი სოციალიზმის, მისი ლენინური კონცეფციის დეფორმაციების მიუხედავად, ჩვენ მტკიცედ ვივლით ამ გზით.

ჩვენ ვამბობთ, რომ გარდაქმნა სოციალიზმის განახლებაა, მაგრამ არა მისი დემონტაჟი. ჩვენ ვამბობთ, რომ გარდაქმნა, რევოლუციური განახლება, სოციალიზმის დეფორმაციის აღმოფხვრაა, მაგრამ არა კაპიტალიზმის რესტავრაცია. ჩვენ ვამბობთ, რომ გარდაქმნა შემოქმედებითი მარქსიზმის აღორძინება, ლენინური იდეების ახლებური გააზრება, მუშაობის ახლებური მიდგომებისა და მეთოდების დამკვიდრებაა, რომელთა დროს ღორძინდება ყველაზე მთავარი — ხალხის, მშრომელი ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალი.

როდესაც ვწყვეტთ გარდაქმნის საჭირბოროტო პრობლემებს — სასურსათოს, საბინაოს და ა. შ. ვახორციელებთ რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმას, ჩვენი წყობილების პოლიტიკურ გარდაქმნას ეროვნებათშორისი ურთიერთობების განახლებას, ვუფიქრდებით ჩვენი მუშაობის ფუნდამენტურ თეორიულ საფუძვლებსაც. ჩვენ ვისწრაფვით განვსაზღვროთ სოციალიზმის განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი მიღწევის გზები უახლოეს პერსპექტივაში. ამას შეუწყობს ხელს სკკპ მორიგი, XXVIII ყრილობის სამზადისიც, უახლოესი პერსპექტივისათვის პარტიის მოქმედების პროგრამის შემუშავება.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მრავალმხრივი მუშაობის დროს, რომელშიც მონაწილეობენ პრაქტიკოსებიც, მეცნიერებიც, საქმე ეხება არა იმას, რომ გამოვიგონოთ მომავალი, არამედ იმას, რომ გამოვიკვლიოთ, როგორ იქნება ეს მომავალი ჩვენი დღევანდელი საქმიანობიდან.

ახლა აქტიურად განიხილავენ არა მარტო სოციალიზმის იდეურ-თეორიულ საფუძვლებს, არამედ ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი გზის გაკვეთილებსაც. გამოთქვამენ სხვადასხვა თვალსაზრისს წარსულის შესახებ. ამასთან ზოგჯერ ვლინდება ნიჰილისტური დამოკიდებულებაც იმისადმი, რაც იყო. ოქტომბრის რევოლუციას, ქვეყნის მომდევნო ისტორიას წარმოსახავენ როგორც შეცდომას, ტრაგიკულ შემთხვევითობას, რომელმაც დაარღვია მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობა და ხალხს არაფერი მოუტანა, ტანჯვა-ვაების გარდა. როგორ მოვეკიდოთ ყოველივე ამას?

პარტიის თვალსაზრისი ამის თაობაზე გამოთქმულია ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ დოკუმენტებში. ჩვენ არ ვამბობთ უარს ჩვენს ისტორიაზე, გვახსოვს თითოეული მისი დღე, წარსულში ვხედავთ ავსაც და კარგსაც და სათანადოდ ვაფასებთ ერთსაც და მეორესაც. ამავე დროს ცხოვრება ისე სწრაფად მიდის წინ, რომ ისტორიის მრავალ მოვლენასა და პერიოდს სხვა თვალით ვუყურებთ, უფრო გარკვეულად და კონკრეტულად ვაფასებთ, მივდივართ წინ ჩვენი საზოგადოების ისტორიული განვითარების სათავეებისა და ტენდენციების გააზრებაში.

ჩვენ მიერ გამოვლილი გზა — ეს არის ფასდაუდებელი, უნიკალური გამოცდილება, რომელიც უნდა გახდეს ღრმა დაინტერესებული, და ამასთანავე მიუკერძოებელი შესწავლისა და გააზრების საგანი.

ჩვენ შევძლებთ წინსვლას იმის მკაფიო შეგნებით, თუ რა საშიშროებაა მოსალოდნელი და რა უნდა ვიღონოთ მის თავიდან ასაცილებლად. ეს ადასტურებს ლენინის ცნობილ აზრს იმის შესახებ, რომ ახალი საზოგადოებრივი სისტემის წვეთა და დაგვით შექმნის პერიოდში კიდევ არა ერთხელ და ორჯერ, არამედ ბევრჯერ მოგვიწევს სერიოზული შეცდომების დაძლევა, ყველაფრის თავიდან გადაკეთება. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გავთავისუფლდებით, როგორც მკვდარი დოგმის ცრურწმენებისაგან, ისე უსიცოცხლო ფსევდოსიახლის ცრურწმენებისაგან.

რევოლუციური გარდაქმნის დროს ფუნდამენტური მნიშვნელობა შეიძინა სოციალიზმისადმი ახლებური მიდგომის, მისი ძირითადი მახასიათებლების ახლებური ხედვის საკითხმა.

რითი ვხელმძღვანელობდით ჩვეულებრივ? გავიხსენოთ ლენინური კონცეფციის ძირითადი პრინციპები. წარმოების ძირითად საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო ძალების სწრაფ ზრდას, დანაწილება შრომის მიხედვით, სოციალური და ეროვნული ანტაგონიზმების დაძლევა. მუშაობა საკუთარი თავის, და არა ექსპლოატატორისათვის. არა მარტო ფორმალური, არამედ რეალური განსაზოგადოება, მშრომელთა რეალური გადაქცევა მთელი საზოგადოებრივი წარმოების პატრონად. გეგმიანობა, შეჯიბრება, გაბედული თაოსნობა — და ამავე დროს გეგმაზომიერება, რომელიც შეგნებულ პროპორციულობად არის გააზრებული. სახალხო ეკონომიკის, როგორც ცივილიზებული კოოპერატორების წყობილების განვითარება. კულტურული რევოლუცია, რომელიც გაგებული იქნება არა როგორც ძველი კულტურის უარყოფა, არამედ როგორც მსოფლიო კულტურის ყველა სიმდიდრის დაუფლება. საბჭოების ხელისუფლება მთელი ხალხის ხელისუფლება შეურიგებელი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. კოლექტივიზმი, წარმოების ინტერესების დაქვემდებარება ადამიანის ინტერესებისადმი, მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი. სოციალისტურ დემოკრატიაზე, მასების თვითმმართველობაზე, ხალხის კულტურულ ზრდასა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნაზე ორიენტირებული საზოგადოება.

ინარჩუნებენ თუ არა ეს პრინციპები თავიანთ მნიშვნელობას? უთუოდ. უფრო მეტიც, გარდაქმნა მათ რეალურს ხდის, რადგან წარსულში მათ ხშირად მხოლოდ აცხადებდნენ.

ამასთან, ახლა სრულიად გარკვეულად გამოვლინდა, რომ თვით ეს პრინციპები და მათზე დაფუძნებული სოციალისტურობის კრიტერიუმები მოითხოვს კონკრეტიზაციასა და მათი თვისებრივი დონის ამაღლებას მრავალი ქვეყნის განვითარების პროცესების გათვალისწინებით.

გარდაქმნის პრაქტიკამ არა მარტო გაამჟღავნა ნაკლოვანებანი, პრიმიტივიზმი და უტოპიზმის ელემენტებიც კი, რომელმაც დაამკვიდრა სოციალიზმის სახე, არამედ ცხადყო კიდეც, რომ პრინციპულად ახლებურად უნდა მივუდგეთ მისი მომავალი სახის განსაზღვრას. საჭიროა, როგორც ლენინმა თქვა, „სოციალიზმზე ჩვენი მთელი თვალსაზრისის შეცვლა“.

სოციალიზმისადმი ავტორიტარულ-ბიუროკრატიულ, საუფროსო-მბრძანებლურ მიდგომაზე უარის თქმა სახავს არა რაღაც ახალი „იდეალური მოდელის“ შექმნას, არამედ მისი იმ თავისებურებების განსაზღვრის ამოცანას, რომლებიც გამომდინარეობს გარდაქმნის პრაქტიკიდან, რომლებიც სინამდვილისათვის ხელოვნურად კი არ არის თავსმოხვეული, არამედ აღმოცენებულია მისგან, შობილია თვით ცხოვრებით.

განახლებული სოციალისტური იდეის ცენტრშია ადამიანი, როგორც უზენაესი ღირებულება, სოციალიზმის პრაქტიკული განახლების ამოცანები ისეთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების შექმნის გზით, რომლებიც გადაიქცევა საშუალებად, ადამიანი კი — მიზნად, რომლებიც სინამდვილეში მთელ სოციალურ სისტემას აქნევინებენ პირს ადამიანისაკენ.

ეკონომიკის დარგში სოციალიზმზე ჩვენი თვალსაზრისის შეცვლა გულისხმობს სოციალისტური საკუთრების რეალიზაციის სხვადასხვა ფორმის განვითარებას, ახალი ეკონომიკური მექანიზმების შექმნას, რომლებიც ეფექტიანად წარმართავენ და სტიმულს აძლევენ ადამიანების შრომითს საქმიანობას.

პოლიტიკური თვალსაზრისით სოციალიზმის განახლება მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესში დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების უზრუნველყოფის, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზით. აქაც კარდინალურად იცვლება ჩვენი თვალსაზრისი სოციალიზმზე.

დემოკრატიზაციის პროცესი შეიცავს შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმების შექმნას ერთი მხრივ, მასების პოლიტიკური კულტურის ამაღლებასა და განვითარებას, კანონის პატივისცემის ტრადიციის შექმნას, რომელიც გვავალებს ყველა წამოჭრილი პრობლემა გადავჭრათ კანონის ფარგლებში და შემუშავებული დემოკრატიული პროცედურის შესაბამისად, — მეორე მხრივ.

იმ განახლებული პოლიტიკური სისტემის კონტურები, რომელიც ისახება გარდაქმნის დროს, უკვე იკვეთება, კერძოდ, სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შედეგადაც. წინ კი გვიძევს პოლიტიკური სისტემის რეფორმის მეორე ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნებსა და ახლებურად მუშაობასთან, რომლებშიც მონაწილეობს მილიონობით მშრომელი.

სულ უფრო ღრმა და საფუძვლიანი ხდება სოციალურ სფეროში სოციალიზმის განახლების პროცესი. გარდაქმნის დაწყებიდანვე სოციალური პროგრამების ფორმირება და რეალიზაცია პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა. მაგრამ ჩვენ ჯერ მხოლოდ ახლა ვიწყებთ იმას, რომ იგი შევუსატყვისოთ ადამიანის მოთხოვნილებებსა და სოციალიზმის პრინციპებს, ჩვენ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ. აქ უნდა განხორციელდეს თვისებრივი ცვლილებები, და ისინი ორგანულად ერწყმის ჩვენს წარმოდგენას სოციალისტური საზოგადოების აწმყოსა და მომავალზე, გარდაქმნის გზით მის რევოლუციურ განახლებაზე.

ჩვენი ცხოვრების ყველა მხარე ეხება ეროვნებათშორისი ურთიერთობების სფეროში მიმდინარე პროცესებს. გარდაქმნამ პირდაპირ საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე ამოაფრქვია აქ დაგროვილი უამრავი პრობლემა და წინააღმდეგობა. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ადგილებში ბოლო დროს გაჩნდა ეროვნებათშორისი კონფლიქტები, ეროვნული მოძრაობანი თავიანთი სუვერენიტეტის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის, კულტურის დასაცავად. რა თქმა უნდა, ეროვნებათშორისი წინააღმდეგობის ფორმით ხშირად ისეთი მოვლენები იკვეთება, რომლებსაც ეროვნული კი არა, საზოგადოებრივი ფესვები აქვს და უწინარეს ყოვლისა ამის მიზეზია მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაუჭრელობა, ადამიანების ელემენტარული უფლებების დარღვევა, კორუფცირებული ელემენტების წინააღმდეგობა.

კამათსა და აზრთა ჭიდილში, რომლებიც, როგორც ვფიქრობთ, ინტეგრალურად გამოიხატა თანამედროვე პირობებში ეროვნული პოლიტიკის თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმით, ნელ-ნელა იკვეთება ჩვენი საბჭოთა ფედერაციის ახალი სახე, რომელიც ჰარმონიულად ახამებს ეროვნული სუვერენიტეტის ინტერესებსა და ჩვენი ქვეყნის ხალხების კავშირს ჰარმონიულად უხამებს ერთმანეთს ეროვნული სუვერენიტეტისა და განვითარების ინტერესებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა კავშირის საერთო ინტერესებს. მის ფარგლებში ეროვნებათშორისი ურთიერთობა უნდა აიგოს დემოკრატიისა და თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და ხალხთა თავისუფალი განვითარების საწყისებზე.

იდეოლოგიის, კულტურის, განათლების დარგში უკვე ახლა მიმდინარეობს, შესაძლოა, ყველაზე რადიკალური ცვლილებები, რომლებსაც მივყავართ სოციალიზმის განახლებისაკენ. გარდაქმნა ფართო ასპარეზს უხსნის თვით ადამიანისა და საზოგადოების სულიერ განვითარებას, რომელშიც იგი ცხოვრობს, შრომისადმი თანამედროვე ამოცანების შესაბამისი დამოკიდებულების შემუშავებას, პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის დონის ამაღლებას, საზოგადოების ზნეობრივ განწმენდასა და გაჯანსაღებას.

ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი საზოგადოება, რომელშიც თითოეული ადამიანი დარწმუნებული იქნება, რომ მის უნარს, შრომას, ცოდნას, საუკეთესო ზნეობრივ თვისებებს მხარს დაუჭერენ და შეუქმნიან პირობებს მათი რეალიზაციისათვის პიროვნებისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ სოციალიზმის განახლების ბევრი პროცესი არსებითად წარმოადგენს მთელი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ პროცესებს, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ხორციელდება სხვა სოციალურ ნიადაგზეც. კაცობრიობის ცხოვრებაში სულ უფრო მეტ ხვედრით წილს იკავებს იმის აუცილებლობა, რომ გადაიჭრას საყოველთაო-საერთო გლობალური პრობლემები. კაცობრიობას ემუქრება საზარელი საშიშროება, რომელთა აღმოფხვრის შესაძლებლობა დამოკიდებულია ძალების გაერთიანებაზე. კაცობრიობის, როგორც ერთი მთლიანის, ინტერესები ობიექტურად გადაიქცევა ყოველი ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრების არსებითად მნიშვნელოვან ორიენტირად, რადგან სიცოცხლის, ცივილიზაციის გადარჩენა კაცობრიობის შემდგომი განვითარების, ყოველი ცალკეული ხალხისა და სახელმწიფოს სპეციფიკური პრობლემების გადაჭრის პირობა და წანამძღვარია.

სოციალიზმის ახალი კონცეფცია იქმნება თანდათანობით, გარდაქმნის გაღრმავების კვალობაზე, პრაქტიკისა და თეორიის ურთიერთმოქმედებით, რომელიც თავისუფლდება დოგმატური სტერეოტიპებისაგან. ამ პროცესის ავანგარდში დგას პარტია, რომელიც იჩენს არა მარტო პრაქტიკულ-პოლიტიკურ, არამედ თეორიულ ინიციატივასაც.

ცხადია, რომ თანამედროვე დონეზე მეცნიერული სოციალიზმის თეორიის განვითარება, მასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი წრის დამუშავება ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების პრიორიტეტულ ამოცანად იქცევა, განსაკუთრებით XXVIII პარტიული ყრილობის წინ.

მე ვამთავრებ გამოსვლას.

გისურვებთ წარმატებებს საერთო მუშაობაში გარდაქმნის საკეთილდღეოდ, ხალხის საარსებო პრობლემების გადასაჭრელად, ჩვენი პარტიისა და ჩვენი საზოგადოების განახლების სასიკეთოდ.

(ტაში).

„განვიხილავთ საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტს

ხალხმა იცოდეს რისი პატრონია!

საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ შემოთავაზებულმა პროექტმა საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის შესახებ არ შეიძლება გულგრილი დატოვოს თითოეული ჩვენთაგანი. ერთი რამ ცხადია: რეალური სუვერენიტეტი მიწის ფონდისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება. პროექტის პირველი თავის მეექვსე პუნქტში ჩამოყალიბებული მოსაზრება კარგად ასახავს რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტისათვის მიწის, წიაღისეულის, შიგა და ტერიტორიული წყლების, ზღვის შელფის, ტყის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოების, საბინაო ფონდის და სხვა საკუთრების საკითხს და ამ ნაწილში არსებითად ითვალისწინებს საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპების პროექტის დებულებებს.

ბოლოაღნიშნული პროექტის მეორე პარაგრაფის მეორე პუნქტის მეორე ნაწილში წერია: „საქართველოს საკუთრების ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფოს განუყოფელ საკუთრებაში არსებული მიწა, მისი წიაღი, შიდა და ტერიტორიული წყლები, ზღვის შელფი, ატმოსფერო რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში და საკუთრების სხვადასხვა ფორმაში არსებული ქონება“. აქ, ვფიქრობ, აჯობებს ასეთი ფორმულირება: „საქართველოს სსრ განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენს მიწა, მისი წიაღი“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

თავის დროზე საშუალება მომეცა გაზეთ „კომუნისტში“ გამომეთქვა ჩემი მოსაზრებები „მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პროექტის“ თაობაზე. ცხადია, ვერ დავიჩემებ, ჩემი დამსახურებაა მეთქი, მაგრამ მთავარია, რომ საგაზეთო პუბლიკაციაში ჩამოყალიბებული პოზიცია შემდგომ საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების პროექტში აისახა.

დღეს, როგორც არასოდეს, აქტუალურია ჩვენი მიწის რესურსებისადმი გონივრული დამოკიდებულების საკითხი, რასაც, ბუნებრივია, ფართო საზოგადოების მხრივ მიწათსარგებლობის სათანადო ნიუანსების ცოდნაც ესაჭიროება.

მიწათსარგებლობის პრობლემის მოწესრიგებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის კადასტრისა და მიწის ტრანსფორმაციის საკითხების შესწავლას.

ყველა ამ კატეგორიის მიხედვით მიწის ფონდის შესწავლა და დახასიათება, მისი ტრანსფორმაციის ყოველი ნიუანსის გათვალისწინება, არსებული მიწის რესურსების თითოეული ნაკვეთის ექსპლუატაციის სიზუსტე შესაბამისი უწყებებისა და სამსახურების უპირველესი ვალია. იგი თავიდან აგვაცილებს მიწათსარგებლობაში დაშვებულ უამრავ დარღვევას. რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მონაცემთა მიხედვით საზოგადოების ინფორმირებას, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა თქვას.

როგორ შეიძლება შევურიგდეთ იმ გარემოებას, რომ ტურიზმის, რეკრეაციისა და საკურორტო მეურნეობის საკითხებით დაინტერესებული ზოგიერთი მუშაკი სათანადო სახსრების უქონლობით ამართლებს ჩვენი მიწის ფონდის დიდი ნაწილის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებისათვის გამოყოფის მანკიერ პრაქტიკას! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა თავისი ქვეყნის კურორტებზე ძვირად ღირებული კერძო ბინების დაქირავებისათვის იმდენ თანხას იხდის, რომ მარტო ეს იკმარებდა ყველა გაჩუქებულ ნაკვეთზე საკურორტო მეურნეობის მშენებლობის მთლიანად დაფინანსებისათვის. არც ახლაა გვიან ამ მიზნით ჩვენი რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებისა და მოსახლეობის შეწირულებათა გამოყენება.

ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მკითხველს შევახსენოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მიწის რესურსების შემდეგი კლასიფიკაციაა მიღებული:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდი. მასში შედის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებით დასაქმებული სხვა სახელმწიფო მეურნეობების, სხვადასხვა დამხმარე სასწავლო-საცდელი მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა მიწები;

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. მათ იყენებენ ფაბრიკების, ქარხნების, სახელმწიფო დაწესებულებების, სამთო დამუშავების, ნაკრძალებისა და სახელმწიფო დანიშნულების სხვა ობიექტების განლაგებისათვის.

დასახლებული ადგილების მიწები, რომლებიც მოიცავენ ქალაქებით, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებით დაკავებულ მასივებს და სხვა. ისინი საჭიროა საცხოვრებელი ფონდის, საქალაქო ორგანიზაციების, პარკების, სკვერების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების განლაგებისათვის;

სახელმწიფო ტყის მიწის ფონდი. მას მიეკუთვნება მიწები, რომლებიც დაკავებულია ტყით. ამავე კატეგორიას განეკუთვნება მიწა, რომელზეც ტყე არ არის, მაგრამ სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის არის გამოყოფილი;

სახელმწიფო მარაგის მიწის ფონდი, ეს ის მიწებია, რომლებიც მოცემული მომენტისათვის არ არის მიმაგრებული მუდმივ მიწათმოსარგებლეზე. ისინი ქვეყნის ნაკლებდასახლებულ რაიონებშია და იყენებენ ახალი საბჭოთა მეურნეობების, სამთამადნო დამუშავებისათვის, კოლმეურნეობებისათვის დროებით სარგებლობაში გადასაცემად, მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან გადმოსახლებულთა მოწყობისათვის და ა. შ.;

სახელმწიფო წყლის მიწის ფონდში შედის მიწები, რომლებიც დაკავებულია წყალსაცავებით (არხებით, მდინარეებით, შიდა ზღვებით) ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით.

ბუნებრივია, მიწის ფონდის დანიშნულების მიხედვით გამოყენებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხს. ეს კი წარმოუდგენელია ისე, თუ განსაკუთრებულ ყურადღებას არ დავუთმობთ მიწის რეკულტივაციას ანუ მისი პროდუქტიულობის აღდგენას, რაც ღონისძიებათა გარკვეულ სისტემას გულისხმობს. იგი ითვალისწინებს, კერძოდ, უნაყოფოდ ქცეული მიწების აღდგენას სახალხო მეურნეობაში გამოყენებისა და გარემოს გაჯანსაღების მიზნით. აქ ორი ეტაპია გასათვალისწინებელი: ტექნიკური და ბიოლოგიური. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია და ჩვენი რესპუბლიკის სათანადო პროფილის სპეციალისტების ძალისხმევას საჭიროებს.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ მიწის რესურსების კლასიფიკაციის საკითხს.

დავიწყოთ იმით, რომ ზემოთ დასახელებული ექვსი კატეგორიიდან საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების წელიწდეულებში გამოკვეთილად რატომღაც მხოლოდ სამი კატეგორიის მიწის ფონდია მითითებული: სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწები; სახელმწიფო მარაგის მიწები და სატყეო ორგანიზაციები (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გრძელვადიანი სარგებლობის მიწების გარეშე); სხვა მიწათმოსარგებლენი.

რა თქმა უნდა, აჯობებდა, რომ წელიწდეულებში მთელი მიწის ფონდი ჩვენს ქვეყანაში მიღებული სქემის მიხედვით უფრო გამოკვეთილად, დიფერენცირებულად, ექვსივე კატეგორიის მიხედვით ყოფილიყო წარმოდგენილი. მაშინ საზოგადოებასაც გაცილებით სრულყოფილი ინფორმაცია ექნებოდა ამ საჭირბოროტო საქმეზე და შეძლებდა კიდეც, როცა საჭირო იქნებოდა, ხმა აღემაღლებინა მიწათსარგებლობაში შემჩნეული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

დიახ, სამწუხაროა, რომ წელიწდეულებში მიწათმოსარგებლეთა მხოლოდ ერთი ნაწილის ფართობია ნაჩვენები, მაშინ, როდესაც ეს ეგრეთ წოდებული „სხვა მიწათმოსარგებლეთა“ ფართობი, როგორც ირკვევა, წლითიწლობით იზრდება. მაგალითად, საბჭოთა კავშირში თუ 1984 წელს აღნიშნული ტერიტორია შეადგენდა 68,1 მილიონ ჰექტარს, 1987 წელს უკვე 71.0 მილიონი ჰექტარი იყო და 1987 წელს 1984 წელთან შედარებით 4,2 პროცენტით გაიზარდა. საქართველოში იგი 1984 წელს 289,3 ათასი ჰექტარი იყო, 1987 წელს 305 ათას ჰექტრამდე გაიზარდა. რამდენადაც ობიექტური პირობებით არის გამოწვეული ზრდის ეს ტენდენცია, ჩვენთვის ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება: მიწათსარგებლობის არსებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენი რესპუბლიკა კავშირის მასშტაბით ამ მხრივ — [illegible] ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია და [illegible] მიწის გამოყენებაზე მკაცრი კონტროლი სჭირდება, იგი მთელი მოსახლეობის სათანადო ზრუნვის საგნად უნდა იქცეს.

შემდგომი განსჯისათვის მივმართოთ საშუალო საკავშირო და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მონაცემებს, აგრეთვე უზბეკეთისას, საიდანაც „თურქ მესხებად“ „მონათლული“ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აიყარა და დასახლებისათვის შესაბამის რეგიონს ეძებს.

აღნიშნული რესპუბლიკების მოსახლეობის სიმჭიდროვის ამსახველი მონაცემები ცხადყოფენ, რომ სხვა არჩევანი არ არსებობს — თითოეული რესპუბლიკის დემოგრაფიული პრობლემატიკა საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში უნდა მოგვარდეს.

ჩვენი რესპუბლიკის მიწათსარგებლობის უმძიმეს მდგომარეობაზე ნათელი წარმოდგენა რომ გვქონდეს, მოვიხმობ კიდევ ზოგიერთ მონაცემს. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი სსრ კავშირში 1984 წელს შეადგენდა 3,8 ჰექტარს, ხოლო 1987 წელს — 3,7 ჰექტარს. საქართველოში — 0,88 და 0,86 ჰექტარს, აზერბაიჯანში — 1.01 და 0,97 ჰექტარს, სომხეთში — 0,69 და 0,67-ს, ხოლო უზბეკეთში 1984 წელს ერთ მცხოვრებზე მოდიოდა 1,83, 1987 წელს 1,74 ჰექტარი.

ხომ აშკარაა, ჩვენი რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე ორ-და მეტჯერ ნაკლები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი გვაქვს უზბეკეთთან შედარებით და ამ ეტაპზე აღნიშნული რეგიონიდან ეგრეთ წოდებული „თურქი მესხების“ ჩვენ რესპუბლიკაში შემოყვანის არავითარი შესაძლებლობა არ გაგვაჩნია.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა სახნავი ფართობის პოტენციალის მიხედვით. თუ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სსრ კავშირში 1984 წელს 0,82 ჰექტარი სახნავი მოდიოდა, 1987 წელს 0,8 ჰექტარი, საქართველოში იგივე წლების მიხედვით უცვლელი მაჩვენებლებია და შეადგენდა 0,15 ჰექტარს, აზერბაიჯანში — 0,21 და 0,22 ჰექტარს. სომხეთში ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით ორივე წელს ჩვენი რესპუბლიკის მსგავსად 0,15 ჰექტარია, ხოლო უზბეკეთში 1984 და 1987 წლებში 0,23 ჰექტარი სახნავი იყო.

ერთი სიტყვით, ჩვენი რესპუბლიკის მიწის სავარგულების შეკრძალებული ფართობები საგანგებო ყურადღებას საჭიროებს და მათი გამოყენებისას დაშვებული ყოველგვარი დარღვევა საზოგადოების საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

საზოგადოება მკაცრად მოითხოვს ზუსტ ცნობებს არ მარტო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობების, არამედ ყველა დანიშნულების მიწის ფონდის შესახებ, ამისათვის საჭიროა სათანადო სამსახურებმა შეადგინონ მიწის ბალანსის დაზუსტებული ვარიანტი და განახორციელონ მისი მონაცემების დიფერენცირება მიწათსარგებლობის ყველა კატეგორიის მიხედვით, რათა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრის სამედო საფუძველი შევქმნათ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უმკაცრესი კონტროლი დავაწესოთ მიწის რესურსების გამოყენების უწყებრივი და სახელმწიფოებრივი აღრიცხვის საქმეში.

დროა რესპუბლიკის ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქის მაგიდის წიგნად იქცეს საქართველოს მიწა-წყლის ყოველი მტკაველის ზუსტი აღწერის ცნობარი, რაც უდავოდ, გაააქტიურებს საზოგადოებრივ ძალებს და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

ივანე გიგოშვილი,
თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ალმასკომმა პრაქტიკულად უნდა მართოს ეკონომიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ არადამაკმაყოფილებლად ცნო ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქმიანობა ზონის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის.

ამასთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე — თ. კუბლაშვილი) სრულად ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს და სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად ვერ წარმართავს მუშაობას ქალაქისა და ზონის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად. იგი ღრმად არ აანალიზებს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და საწარმოებში არსებულ მდგომარეობას, იშვიათად განიხილავს ეკონომიკის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებს. მიღებულ გადაწყვეტილებებს აკლია კონკრეტულობა, სუსტია მათი შესრულების კონტროლი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი სუსტად მართავს ეკონომიკურ პროცესებს, თანამიმდევრულად არ [illegible] ფინანსო მდგომარეობის [illegible]ებისათვის, ეფექტიანად არ იყენებს ამ მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებს, არ აძლიერებს სამეურნეო ხელმძღვანელობისადმი მომთხოვნელობას ეკონომიკის განვითარების საბოლოო შედეგებისათვის.

გარკვეული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ბოლომდე არ არის დაძლეული სერიოზული ნაკლოვანებანი სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში.

გაიზარდა არასაწარმოო ხარჯები, სისტემატურად არ სრულდება მოგების გეგმები. წლეულს იანვარ-ივლისში მრეწველობის დარგის საწარმოებმა მოგების გეგმა შეასრულეს მხოლოდ 56,8 პროცენტით. იზრდება ვადაგადაცილებული დავალიანება, რომელმაც უკვე 5 მილიონ 100 ათას მანეთს გადააჭარბა, არ სრულდება საკასო გეგმები. სამაგიეროდ ფულის ზეგეგმითი ემისია უკვე 1,4 მილიონ მანეთს აღემატება.

ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ამოქმედებული ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის ზრდის რეზერვები. უფრო მეტიც, აღმასკომის დაქვემდებარებულმა საწარმოებმა ექვს თვეში 66,2 ათასი მანეთი დააკლეს ბიუჯეტს, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა — 210 ათასი მანეთი.

მეთორმეტე ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში ქალაქის სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა დაგეგმილთან შედარებით 14 პროცენტით შემცირდა. ამავე პერიოდში მიწოდების სახელშეკრულებო მაჩვენებლების შეუსრულებლობის გამო მომხმარებელს დააკლდა 1,1 მილიონი მანეთის პროდუქცია. ანალოგიური მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც.

საშუალო რესპუბლიკურ დონეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, დიდია მათი თვითღირებულება, ცუდად სრულდება გეგმები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი რეალურად ვერ ხელმძღვანელობს სამშენებლო ორგანიზაციებს, რის შედეგადაც ამ ბოლო სამი წლის მანძილზე არც ერთხელ არ შესრულებულა კაპიტალური მშენებლობის საგეგმო დავალებანი.

მშენებელთა უგერგილობის გამო. 1988 წელს ტყიბულის მოსახლეობას დააკლდა 6834 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჩამორჩენაა წლეულსაც: საბინაო მშენებლობის დარგში შვიდი თვის დავალება შესრულდა მხოლოდ 74 პროცენტით.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში მოსახლეობას მიეყიდა გეგმით გათვალისწინებულზე 4 მილიონი მანეთით ნაკლები ღირებულების სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

არასაკმარისია საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქმიანობა ვაჭრობის, მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

აღნიშნულ ნაკლოვანებებს მნიშვნელოვანწილად ის განაპირობებს, რომ ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ ვერ სრულყო მუშაობის სტილი და მეთოდები, ვერ ამოფხვრა ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები, ვერ დაძლია ფორმალიზმი მუშაობაში, რის გამოც სრულად ვერ ფლობს ვითარებას. მწვავე საპრობლემო საკითხების გადაწყვეტისას საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობა რჩევისათვის იშვიათად მიმართავს ხოლმე შრომით კოლექტივებს, მოსახლეობას, საზოგადოებრივ გაერთიანებათა წარმომადგენლებს, თავს არიდებს არასტანდარტულ გადაწყვეტილებათა მიღებას, არ იჩენს სათანადო ინიციატივას, მომთხოვნელობას საქვეუწყებო სამსახურებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაავალა საფუძვლიანად გაანალიზოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში არსებული მდგომარეობა, დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულებისათვის; არსებითად გარდაქმნას სახალხო მეურნეობისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები; მეტი ყურადღება დაუთმოს ადგილებზე რეალური მდგომარეობის შესწავლას, ამასთან მომწიფებული პრობლემების გადაჭრისას გაითვალისწინოს შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის, საზოგადოებრივ გაერთიანებათა აზრი; მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საქმიანობა საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობათა გაზრდისათვის.

რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებს წინადადება მიეცათ ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ საწარმოო დავალებათა შესასრულებლად, საწარმოების და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, სხვა პრობლემების გადასაჭრელად.

(საქინფორმი).

საუბრები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო კულტურის თვალსაჩინო საზღვარგარეთელ მოღვაწეთა ჯგუფი. ისინი მონაწილეობენ თბილისში მიმდინარე არქიტექტორებისა და დამგეგმავების საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტმა მოაწყო რესპუბლიკის საქმშენთან ერთად.

ნოდარ ჭითანავამ კმაყოფილება გამოთქვა ესოდენ წარმომადგენლობითი შეხვედრის საქართველოს დედაქალაქში გამართვის გამო, რომელმაც საზოგადოებრიობას ფართო ინტერესი აღუძრა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას უთმობს ქალაქების განვითარებას, მათი რეკონსტრუქციის საკითხებს.

საუბრის დროს სტუმრებმა ილაპარაკეს კონფერენციაზე განხილული პრობლემების შესახებ, აღნიშნეს, რომ თბილისის შეხვედრა ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტორებისა და დამგეგმავების პირადი კონტაქტის დამყარებას, იგი სტიმულს აძლევს საინტერესო დისკუსიებს რეკონსტრუქციის არქიტექტურულ პრობლემებზე, არქიტექტურული განათლების სრულყოფაზე და ა. შ. შეხვედრამ მის მონაწილეებს შესაძლებლობა მისცა გასცნობოდნენ ქართველი სპეციალისტების გამოცდილებას ქალაქების ისტორიული უბნების რეკონსტრუქციისა და დაპროექტების დარგში.

საუბრის დროს გამოითქვა სურვილი, რომ განმტკიცდეს ქართველი არქიტექტორების კონტაქტი საზღვარგარეთელ კოლეგებთან, შეიქმნას საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან სასწავლო და კულტურულ ცენტრებში რესპუბლიკის ახალგაზრდობის სწავლის პირობები, გაიცვალონ სტუდენტები — არქიტექტურისა და დაგეგმვის დარგის მომავალი სპეციალისტები, მოეწყოს საქართველოს ქალაქებში მსოფლიოს წამყვანი მოქანდაკეების, არქიტექტორების, მხატვრების გამოფენები, მოწვეულ იქნენ ისინი ლექციების წასაკითხად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გურამ ენუქიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჭითანავამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ვაშინგტონის შტატის ქალაქ სპოკანის მეღვინეობის ფირმა „არბორ კრესტის“ პრეზიდენტი ლ. მილკი.

საუბრის დროს განიხილეს შეერთებულ შტატებში ცნობილ ამ ფირმასთან რესპუბლიკის მეღვინეობის მრეწველობის საწარმოთა თანამშრომლობის პერსპექტივა, იმსჯელეს ერთობლივი საწარმოს შექმნის შესაძლებლობაზე.

ამერიკელმა ბიზნესმენმა აღნიშნა შეერთებული შტატების საქმიანი წრეების მზარდი ინტერესი საქართველოსთან უშუალო კონტაქტის დამყარებისადმი.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ჩერქეზიშვილი, „სეიბი კორპორეიშნის“ (აშშ) და რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის ერთობლივი საწარმოს გენერალური დირექტორი მ. უზნაძე, სსრ კავშირში ამერიკის კორპორაციის წარმომადგენელი თ. სულხანიშვილი, ამერიკის სლავისტთა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ქალაქ სიეტლის ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი მ. პრესლარი, სხვა ოფიციალური პირნი.

(საქინფორმი).

ისტორიის ფურცლები

ბუდუს ბედისწერა

დოკუმენტური მოთხრობა

ოთარ ეგაძე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხი თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში არ უნდა დარჩეს არც ერთი „თეთრი ლაქა", საჭიროა საზოგადოებას ჰქონდეს სრული და ამომწურავი ინფორმაცია ყველა მისი ეპიზოდის შესახებ, რაგინდ მწარე უნდა იყოს ისინი.

ობიექტური ისტორიული გამოკვლევების შედეგად დღეს სულ სხვაგვარად ისმის საკითხი ეგრეთ წოდებული ქართველი ნაციონალ-უკლონისტების, კერძოდ, აწ უკვე რეაბილიტირებული ბუდუ მდივნის შესახებ. მკითხველს ვთავაზობთ მკვლევარისა და პუბლიცისტის ოთარ ეგაძის დოკუმენტურ მოთხრობას ბუდუ მდივნის ცხოვრების ბოლო დღეებზე. იგი ცალკე თავად შევა ავტორის რომან-ტრილოგიაში „დღენი ჩვენი ბრძოლებისა".

ის-ის იყო მუშტაიდის ბაღის მხარეს გადავიდა, რომ ქუჩის გადმოღმა წითელაგურა ორსართულიანი შენობიდან გასძახეს:

— ბუდუ ბატონო, ბატონო ბუდუ, მოსკოვი რეკავს!...

— რა ცეცხლი გაუჩნდათ?

საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მმართველი მობრუნდა, კაბინეტის კართან ჰკითხა მდივანს.

— რა მოხდა, ბოშო?

— ტელეფონთან გიცდით! — ველარ მოახერხა მეტის თქმა გულამოვარდნილმა მდივანმა.

— ალო! — ჩაჰყვირა ბუდუმ და მშვიდი პასუხი მოისმა.

— ამხანაგი ბუდუ ხართ?

— დიახ!

— ამხანაგი მოლოტოვი დაგელაპარაკებათ.

„მოლოტოვი?" — განცვიფრდა. რა ხანია აბრეშუმის ჭიებთან აქვს საქმე, სულერთიანად დაივიწყეს დიდმა კაცებმა, ახლა კი თვითონ მოლოტოვი!... ერთი-ორი წამი უცდიდა, მაგრამ წუთებად ექცა: „მგონი, ახალი რამ უბედურება მატყდება თავს, ისე მოლოტოვს რას მოვაგონდებოდი".

— გამარჯობათ, ბუდუ გურგენოვიჩ!

— გაგიმარჯოთ, ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ! ჯანზე როგორა ხართ?

— არ ვუჩივი...

— ეგ ძალიან კარგია!.. დღესვე გამოემგზავრე ჩქარი მატარებლით, პირდაპირ ჩემთან მობრძანდით კრემლში, გასაგებია?!

ბუდუმ ყურმილი დადო და ფიქრი გააყოლა. მერე უნებლიეთ ხელი წაუცდა, ყურმილი ისევ აიღო:

— ლავრენტი პავლოვიჩ, ამ წუთას მოლოტოვი მელაპარაკა, კრემლში მიბარებს?!

ბერია შეყოვნდა.

— რა საკითხზე?

— არ უთქვამს.

— შენ თუ უთხარი რამე შენებურად?

— არც გამიფიქრებია! ახლა ჭიებთან მაქვს საქმე, იმათ კი არც ჩივილი იციან, არც პასუხის გაცემა.

— ეგრე სჯობია! ასე ვფიქრობ მე.

მაინც დაინტერესდა; სიმართლეს არ ამბობს. უნდა დარწმუნდეს, ქობულოვს დაურეკა; „თვალყური ადევნეთ".

ბუდუ სადგურზე გავიდა. არავინ აცილებდა. საერთაშორისო ვაგონის კუპეში მგზავრი დახვდა.

—თქვენც მოსკოვში ბრძანდებით? — ჰკითხა უცნობმა.

— ყარაიზში, მწყერებზე სანადიროდ! თოფი კი შინ დამრჩა...

— აბა დრო ცოტალა გვქონია! — იხუმრა თანამგზავრმაც და, როგორც კი ნავთლუღის სადგურს გასცდნენ, საკვოაჟი გახსნა, ფანჯარასთან მიმაგრებულ პატარა მაგიდას გახამებული ხელსაწმენდი დააფარა, ერთი ბოთლი კონიაკი დადგა, სათითის ტოლა ვერცხლის ორი ჭიქა მიუდგა, ნელთბილი ხაჭაპური მიუწყო, შებრაწული წიწილა მიუდო და უქმი საუბარი წამოიწყო:

— გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, ბუდუ ბატონო! ერთი ჭიქა ას კილომეტრს გაგვარონიებს. უამისოდ ფიქრი გადაიყოლებს კაცს, ცუდი ზნე სჭირს მოსკოვში მგზავრობას.

ბუდუ გაიბუსა, მერე კონიაკის იარლიყს დახედა, სარაჯიშვილისეული წარწერა ამოიკითხა, მაგრამ მოლოტოვის მიერ სასწრაფოდ გამოძახების მიზეზი ვერ ამოიცნო. ფიქრმა ჭიქაააწევინა:

— ჩვენს მგზავრობას გაუმარჯოს, შენი სახელი მიბოძე, ბოშო? — მიმართა ბუდუმ და თანამგზავრმაც მიაწოდა:

— სევასტი ვარ, ბოლაძე.

კონიაკს ეშხმა მგზავრული ფიქრები გაფანტა, იშტა გაუხსნა, ერთმა ყლუპმა ორთა შორის სიახლოვე წარმოშვა და უცნობი კაცი ნაცნობად იგულა.

მეხუთე ჭიქამ ბაქოში მხიარულად ჩაიყვანა, მაგრამ აღარც ხაჭაპური ჩანდა, წიწილის ძვლებიც გაეკენიტათ. ბაქანზე რკინიგზელისქუდიანი კაცი ამოვიდა, სევასტის მიესალმა, მთელი კალათა ნობათი მოუტანა, „ჩვენებური ქაბაბიაო"; სევასტის თანამშრომელი ყოფილა, მისი ოჯახიც მოიკითხა და როცა სადგურის მორიგემ მესამე ზარს ჩამოჰკრა, საჩქაროდ გამოემშვიდობა და დაძრულ მატარებლის ვაგონის კიბიდან ჩახტა.

ბუდუ მდივანს გუნება გამოუკეთდა. მოლოტოვის გამოძახების ფიქრი აღარ აწუხებდა. სალაპარაკოც არ გამოელია; ჯერ აბრეშუმის ჭიის მომრავლების პრობლემაზე ილაპარაკა, მერე ყოფილი დიდკაცების ბედზე, ბერიას სიმკაცრეზეც!

რკინიგზელმაც გაუმხილა, რომ ოდესღაც მენშევიკურ პარტიაში ეწერა:

— ახლა კი პატიოსანი უპარტიო ვარ, მშვიდობიან ცხოვრებას ვეწევი.

— ასეთ უბედურებაში მშვიდად რა გამყოფებს, ბოშო? — გადაიხარხარა ბუდუმ.

— ცხოვრებამ ჭკუა მასწავლა.

— აჰ, არ გამაგონო მაგი, ოპორტუნისტი ყოფილხარ!

— ოპორტუნისტობას ვინ მაცლის; სამუშაო იმდენია, რომ თავბრუ მეხვევა. ხშირად მიხდება მგზავრობა. ახლა ორთქმავლების მილებს გვიჩრებენ მოსკოვში, ძველის ნაწილებიც გვაკლია. ორჯონიკიძესთან უნდა ვიჩივლო, შენს ჭიებს რა უჭირთ, თუთის ფოთოლი და მათი ჯანი, ორთქმავალს რა ძრავს!

— არ თქვა მაგი, სევასტი! აბრეშუმის ჭია უფრო ძნელად მოსავლელია! უცხოეთში გაგვაქვს ყაჭი, ოქრო შემოგვაქვს. ორთქმავალი იმდენს ვერ შემოზიდავს რამდენსაც ჭია.

მეჭიეც და რკინიგზელიც როსტოვში ჩავიდნენ. ბუდუ ვაგონში დარჩა, სევასტი ბაქანზე გავიდა, მუხლის გასაშლელად. იქაც ნაცნობი დახვდა. ბუდუ ფანჯრიდან უყურებს გამცილებელ-გამომცილებლებს.

დაღონდა, არავინ არ დახვდა. „ამას კი ყველგან ხვდებიან — ბაქოშიც, როსტოვში", იქნებ იმიტომ, რომ რკინიგზა ყველგან გადის და რკინიგზელები ერთმანეთს იცნობენ, ხვდებიან და აცილებენ. ბუდუს კი ყოველთვის უბღვერიან, უძალიანდებიან და თვითონაც ძალადობს. ზოგს ისეთს ეტყვის ხოლმე თანაპარტიელებს, რომ კაცს თმა ყალყზე დაუდგება. განსაკუთრებით ორჯონიკიძე ამწარებდა, მაგრამ არც თვითონ ეალერსებოდა. ამიერკავკასიის რკინიგზელის გაერთიანების წინააღმდეგ იბრძოდა — რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა გვერთმევაო, მაგრამ ახლა რომ უკვირდება, ნანობს; რკინიგზელები კი ერთმანეთს როდი უწყრებიან სამივე რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელებივით. სევასტი ბოლაძეს, ალბათ, მოსკოვის სადგურზეც დახვდებიან. ერთმანეთის მოყვარული ხალხი ყოფილან, პროფესიას დაუძმობილებია, რაკი ერთ ლიანდაგზე შემდგარნი იმ წუთას დაიღუპებიან, თუ რომელიმე გზას ასცდება. ზოგიერთი დიდი ხელმძღვანელის პოლიტიკურ პლატფორმაზე ჩამოხტომას ვინ ჩივის, უბრალო მეისრეც ჩიხში გადაჩეხს.

ბაქანზე გასეირნებულმა სევასტიმ როსტოველ ნაცნობს გაანდო:

— მოლოტოვთან მიდის კრემლში, ადგილობრივ ხელმძღვანელობაზე, უკმაყოფილოა.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ, როსტოველმა თბილისელს სავსე პარკი მისცა და გამოემშვიდობა. მატარებელი დაიძრა. ბუდუმ იმ უცნობს თვალი გააყოლა, ზურგშექცეული ბაქნიდან გარბოდა: „ნეტავ სად მიიჩქარის".

კუპეში ამოსულ სევასტის გაუღიმა:

— ისევ პურმარილი, ბოშო?

— რა მექნა. არ მიმელო, ეწყინებოდა.

— სად მუშაობს?

— სადგურის ტელეგრაფისტია.

— აბა, ჩვენი მატარებლის მოსკოვში ჩასვლის დროც ეცოდინება.

— დიახ, არ აგვიანებსო.

— ხედავ, გვიფრთხილდებიან მგზავრებს! — მოიწონა ბუდუმ სევასტის ნაცნობის ყურადღება და კალოტანებული საგზალიც გაშალეს, — ცივად მოხარშული დედალი, ორი ბოთლი კონიაკი, ორიც მინერალური წყალი, „ნარზანი" ერთი ფუნთუშა თეთრი ყუბანური პური, სუთიოდე მჟავე კიტრი, მარილი და როსტოვული პაპიროსის „კაზბეკის" ორი კოლოფი.

მატარებელი ქშუილით მიქრის, ბუდუ თანამგზავრს თავისი მძიმე ცხოვრების დარდს უზიარებს.

— ნეტავ, რად მიბარებს? კარგ საქმეზე რომ არა, ვიცი წინდაწინ!

მესამე დღეც მიილია. მოსკოვის კურსკის სადგურზე დაემშვიდობა, მაგრამ სევასტიმ შეახსენა.

— როგორც კი მოლოტოვის კაბინეტიდან გამოხვალ, დამირეკე, ერთი ნაცნობი დედაბერის ბინაზე გავჩერდები, ლუბიანკაზე, ჩაიწერე ტელეფონი.

— ეე-ხე, მშვიდი უბანი ვერ აგირჩევია, ბოშო ამხელა მოსკოვში!

— სამაგიეროდ იაფი მიჯდება, არც ვინმე მაწუხებს.

დღის მიწურულს კრემლის ეზოში იყო.

— ხომ არ დაიქანცეთ მგზავრობით? — ჰკითხა მოლოტოვმა.

— ნაჩვევი ვარ.

— მაშ ახლა პირდაპირ ამხანაგ სტალინთან მივიდეთ.

ბუდუს გაუკვირდა, რახანია არ ენახა:

— რატომ?

—თვითონ იტყვის.

სტალინი გაღიმებული შეხვდა, წამოდგა, სხდომათა გრძელ მაგიდასთან მიდგა, მოლოტოვი და ბუდუ იხმო:

— ამხანაგმა მოლოტოვმა წარმოადგინა გერმანიაში გასაგზავნი სავაჭრო კომისია, რომელსაც ევალება საგარიგებო ხელშეკრულების დადება ჩვენთვის საჭირო საიმპორტო და საექსპორტო საქონელზე. კომისიის ხელმძღვანელად შენ გასახელებს.

ბუდუმ კმაყოფილებით თავი დახარა.

— კომისიაში სპეციალისტები გეყოლება, შესასყიდისა და გასაყიდის სიაც გექნება. არ გაგიჭირდება მოლაპარაკების გაძღოლა. გამოცდილება გაქვს უცხოელებთან ვაჭრობაში.

სტალინს მხედველობაში ჰქონდა ოსმალეთში ბუდუს სავაჭრო წარმომადგენლად ყოფნა, გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციაშიც მისი ჩართვა, კათალიკოს ამბროსის მიმართვა რომ ირჩეოდა.

— არ შეგარცხვენ, კობა.

— შერცხვენა სხვა დროს დაგემართა, ნაციონალ-უკლონისტი ფედერაციას რომ ებრძოდი! დავივიწყოთ წარსული, აწმყო გამოასწორებს. ჩემი დავალების ზუსტად შესრულება შენს უნარს შეეფერება.

— მზად ვარ, კობა.

—ჰოდა, ამით დავამთავროთ. დეტალებს სპეციალისტები გაგაცნობენ. ახლა შინ წავიდეთ. მოლოტოვს კი დასჭირდება ცოტა რამ სხვა საკითხის მოგვარებაც შენთვის ხელის გასამართავად.

მოლოტოვი გავიდა. სტალინი სტუმრიანად „კუნცევოს" გაემგზავრა.

მანქანა დაცვით გამაგრებულ ტრასაზე მიჰქროდა, წვიმდა, სოფელ ჟავორონკოფოს მიდამოებში ღრმად მოხუც ქალს წამოეწიენ, წელში მოხრილი ჯოხზე დაყრდნობილი გზის ნაპირას მიფართხალებდა.

სტალინმა მძღოლს უთხრა:

— გააჩერეთ! მოხუცს მანქანაში სთხოვეთ, მივიყვანოთ სახლამდე!

მანქანა გაჩერდა, მცველი ალექსეი რიბინი დედაბერთან მივიდა: —

— ბებიკო, ამხანაგი სტალინი მანქანაში გიწვევთ, ერთი გზა გვაქვს, სახლამდე მიგიყვანთ.

მოხუცმა უცნაურად შეხედა:

— ჭკუიდან ხომ არ შეშლილხარ, შვილო?!

ამ დროს კარი გამოაღო. როგორც კი დედაბერმა დაინახა, პირჯვარი გადისახა:

— ღმერთო დიდებულო, ნუთუ ეს სტალინია? იოსებ ბესარიონის ძე?!..

— დიახ, ნამდვილი. ნუ მორცხვობთ, მანქანაში დაბრძანდით, სახლში მიგიყვანთ.

დაბნეული მოხუცი სტალინის გვერდით მანქანის კუთხეში მიუჯდა.

— საიდან მიდიხართ?

— ეკლესიაში ვიყავი, შინ მიმეჩქარება, მეურნეობა მელის.

— რა მეურნეობა გაქვთ?

— ძროხას და კრუხ-წიწილას ვუვლი.

— ვინ გეხმარებათ, მარტო ართმევთ თავს?

— გოგო და შვილიშვილი მეშველებიან.

იმის სოფელიც გამოჩნდა.

მანქანიდან გამოსვლისას კიდევ დიდხანს გაჰყურებდა სტალინის მანქანას და პირჯვარს იწერდა.

კუნცევოში ჩავიდნენ. ბუდუს შინ შეუძღვა, გრძელი მაგიდის ერთ კუთხეში სუფრა გააშლევინა, სადილს შეექცნენ. წარსული გაიხსენეს, წელან რომ უთხრა, „ფედერაციის საკითხში თავი შეირცხვინეო." ახლა უფრო ადრინდელის მოგონებით ტკბილი გრძნობა შეაფინა:

ბაქოს ბაილოვის ციხეში ერთ საკანში ისხდნენ. ცოლი, კატო სვანიძე, ჭლექით დასნეულდა, იქაური ცხელი ჰავა ვერ აიტანა. თბილისში ჩაიყვანა, მაგრამ ველარ გადაარჩინა, გარდაეცვალა. თვითონაც ფილტვები დაუსუსტდა. საკანში კი ჰაერიც არ ჰყოფნიდა. სიცხემ აუწია, ბუდუმ ისაზრა, ლაჯებში თავი შეუყო, მხრებით ასწია, მაღლა გამოღებულ სარკმელთან პირით მიაყენა.

— ექვსი თვე ასე მასუნთქე, განა დამავიწყდა? მერე გადასახლებაში ციმბირის ცივმა ჰაერმა ჩამიკირა. ახლა გიხდი მადლობას.

ძველი მეგობარი თავდახრილი უსმენს, ვერ გაუგია, ბედის დაცინვაა თუ ღვთის წყალობა!

— შენი ერთი ოინიც მაგონდება, კობა, გეხსომება, საშა წულუკიძის დაკრძალვიდან ვბრუნდებოდით ხუთასამდე კაცი. გზად შევისვენეთ. მენშევიკებმა მიტინგი გამართეს. მაგარ-მაგარი ორატორები გამოიყენეს საფალავნოდ. შენ რუსული წიგნი გეჭირა, ციტატებს ქართულად აცნობდი გვერდ-თეძოზე ნებივრად წამოწოლილებს: „ეგ რა წიგნი გიჭირავსო" — შეგეკითხა მენშევიკების ოქროპირა ორატორი. შენ უპასუხე — ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?!" ღმერთმანი, კარგი კარაბადინნი კი იქნება?! — კარგიო! ჰოდა, მამაშენის სულის ცხონებასა — მომყიდე, კაი ფულს მოგცემ; ბებია მყავს ქარებიანი, ღამე არ ეძინება, მაგ ლენინის კარაბადინში იქნებ რამე წამალი ეწეროს ბებიაჩემის მოსარჩენად! შენ მწარედ უპასუხე:

„ლენინის ამ კარაბადინში ბებიაშენის გამკურნავი არაფერია, შენს მოღალატეობაზე კი ბევრი წერია!"

მახსოვს, ბუდუ.

— აი, იმ დედაბერსაც წამლად გამოადგება შენი დღევანდელი შეხვედრა. მთელ სოფელს მოსდებს, დაგლოცავენ მოწყალეობისათვის.

სტალინი ჩაფიქრდა, სხვა კილოზე გადავიდა:

— სასულიერო სემინარიაში სახარებიდან გვასწავლიდნენ, — „ერიდეთ სიმართლის გაკეთებას ადამიანის თვალწინ, რომ მათ დაგინახონ, თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციერი მამისაგან. ჰოდა, როცა მოწყალებას იქმ, ნუ გაახმაურებ შენს წინ, როგორც თვალთმაქცები აკეთებენ სინაგოგებსა და ქუჩებში, რომ ხალხმა აქოს ისინი".

მერე საყვედურით თქვა:

— განა ყოველივე შენი კარგი ნაქნარი ქვეყანას უნდა მოსდო? დაფარვაც საჭიროა. ზოგჯერ კი იმდენად საიდუმლოდ, რომ არავინ არ იცოდეს!

— მაგას რატომ მეუბნები, კობა?

— რისთვისაც დაგიბარე!..

ბუდუმ ტუჩთან მიტანილი ღვინის ჭიქა ცივად დადო. სტალინს ამოხდა.

— მძიმე საქმე გელის, ბუდუ, სერიოზული! თანაც საიდუმლო. მითხარი, შეძლებ ქვეყანას არ მოსდო, შეინახო, გულში ჩაიკირო?

სტალინმა თვალებით გაბურღა, ბუდუმ გაუძლო:

— შევძლებ...

— თუ სიტყვა გატეხე, ჩათვალე, რომ პარტიასაც უღალატე და თავსაც!

— მესმის, კობა!

— რახან გესმის, პარტია ისეთ დავალებას გაძლევს, რომლის შესრულება მარტო შენ შეგეძლება, სხვა არავის!

— მე რა ეგეთი ღმერთი მნახე?

— ახლა ჩემი გადამრჩენიც.

— ეგ რა ასეთი დავალებაა, სხვას არ შეეძლოს შენი გულისათვის.

სტალინმა მზერა გაუსწორა:

— შენ ყველაზე მეტად უდგები! ვიცი იმერეთში ბევრი ნათესავი გყავს.

ბუდუ ჩაფიქრდა: „რატომ მეკითხება".

— მესხის გვარისანიც გეყოლება.

— მყავს!..

— მაშ დანარჩენი შენს გონებამახვილობაზეა დამოკიდებული და იმერულ საზრიანობაზე!..

— მითხარი, რა თხოვნაა?...

—თხოვნა კი არა ბრძანებაა!

— მით უფრო! — ბუდუს ნირი შეეცვალა.

სტალინმა დაამშვიდა:

— ფაშისტების კონტრდაზვერვამ ხელში ჩაიგდო ჩვენი მზვერავი-რეზიდენტი მესხი. იქნებ შენი ნათესავი არაა, მაგრამ უნდა დაინათესავო!

ბუდუ დუმს.

—მოლოტოვის მიერ შედგენილ სავაჭრო გარიგებათა კომისიას..., რომელმაც ხელშეკრულება უნდა დადოს გერმანიასთან, შენ უმეთაურებ! მთავრობის რწმუნებით უფლება გეძლევა ხელი მოაწერო სავაჭრო ხელშეკრულებას წინასწარ გაცნობილ საქონელზე, ზოგ წამგებიანზეც.

— წამგებიანზე? — გაიკვირვა ბუდუმ.

— ჰოო, გონივრული სარფით, რა თქმა უნდა! — ჩამომარცვლა სტალინმა. — მაგრამ იცოდე, იმათ დიდად ჭირდებათ ჩვენი ერთი ისეთი ნედლეულთაგანი, მათ რომ არ გააჩნიათ გერმანული იარაღის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შემოგევაჭრებიან იმ ნედლეულის იმპორტში. შენ პირველხანად იუარებ, მერე გაიძნელებ, შემდეგ შეეჭვებული დაჰყაბულდები იმ ვარაუდით, რომ ნიადაგს მოსინჯავ ჩვენს ხელმძღვანელ წრეებში, მაგრამ სამაგიეროდ თავადაც წაუყენებ გერმანელებს პირად თხოვნას, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ ექნება სავაჭრო კომისიების ხასიათთან.

— რას, კობა?

— აი სწორედ შენთვის არარსებული, მაგრამ ამიერიდან ახლო ნათესავის, აზნაურ მესხის ციხიდან გამოყვანას!

ბუდუმ გონებაში გამოთვალა, აწონ-დაწონა და ვერ დამალა:

— ის აზნაური მესხი რა ისეთი წითელი კოჭია, რომ იმის გულისათვის ხელი მოვაწერო წამგებიანი საქონლის შემოტანაზე, ჩვენგან კი ადვილად ხელში ჩაიგდონ ნედლეული რომელსაც, როგორც ამბობ, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს?!

— ეგრეა, მართლაც წითელი კოჭია, და თუ ვიხსენით, ჩათვალე, რომ კოჭი ალჩუზე დაგვიჯდა, თუ ვერა — თოხანზე, იქნებ სულაც თაფი მოგვივიდეს, წავაგოთ! მაშინ პოლიტიკური სკანდალი დაგვიმტკიცებდა: მესხმა ჩვენი რეზიდენტების ადგილსამყოფელი იცის, აგენტების გვარებიც, თვით ფაშისტური მთავრობის წევრებისაც. მჯერა, ფაშისტური კონტრდაზვერვა ყველა ხერხს იხმარს მესხის გამოსატეხად. ახლა ისეთი მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებანიც არსებობს ფიზიკურ წამებასთან ერთად — ელექტრონული, ქიმიური, ფსიქოლოგიური პრეპარატებიც, რომლებსაც ვერ გაუძლებს ადამიანის ორგანიზმი, ნელ-ნელა ზუსტად დაფქვავს ყველაფერს. ეს კი ნიშნავს ჩვენი დაზვერვის ძირშივე მოკვეთას. გამოსავალი ერთია: გამოვიხსნათ, სანამ ალაპარაკებულა, მაგრამ არა როგორც ეჭვმიტანილი რეზიდენტი, არამედ შენი სისხლის ახლო ნათესავი, რომელიც შემდგომაც კომერციულ მუშაობას გააგრძელებს ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანაში. ამით დაამშვიდებ, რაკი მერეც შეეძლებათ, კვლავაც დაიჭირონ, ხელი იქაც მიუწვდებათ. საბჭოთა კავშირში ჩამოყვანა კი არ ინდომო იმ მოტივით, რომ მოსალოდნელია ბურჟუაზიული მოღვაწე „ნათესავის" რეპრესირებით შენი ბოლშევიკური პრესტიჟის შელახვა, ისედაც შელახული ვარ ნაციონალ-უკლონისტური გადახრის გამო-თქო.

ბუდუმ საკუთარი სიცოცხლე ბედისწერაზე შეაგდო, მაგრამ ღირს, — აბრეშუმის ჭიების მფარველობას გადაყოლას ვეფხვების ჩხუბში ჩაყოლა მერჩიოსო.

— ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება.

— მე შეუძლებელს გავალებ!

— თავს დავდებ.

— შენი თავის დადება რას მარგებს. უნდა იხსნა თუნდაც მკვდარი თავით.

— ვიხსნი!

— გჯერა?

— კი.

— სიტყვას იძლევი?

— ცოცხალი თავით ჩაგაბარებ!

— მე არა, არც საბჭოთა კავშირს! პოლონეთში ჩამოიყვან, ვარშავის სადგურზე; ბაქანზე კაცი დაგხვდება პაროლით: „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება". იმ კაცს ჩააბარებ, მოუვლიან, თავად მოსკოვში ჩამოხვალ, პირდაპირ ჩემთან...

— ამას რა ჯობს.

— მაგრამ იცოდე, მხოლოდ ორმა ვიცით, მედა შენ! სხვა არც ერთმა, არც მოლოტოვმა, არც ეჟოვმა.

-- გასაგებია, კლიტეს ვიდებ!

— თუ სადმე წამოგცდა, თავს დალუპავ, ბუდუ!..

— დასალუპი დამრჩა კიდო, რამე თუ?

— ამას დრო გვიჩვენებს.

• • •

მეორე დღეს ბუდუ მდივანი ეკონომიკური დარიგებით გატენეს, ხელშეკრულებების მასალებით აავსეს, შესასყიდი, იმპორტული საქონლის სიები გადასცეს, საექსპორტო ნომენკლატურაც ჩაუდეს პორტფელში, რა თქმა უნდა იმ სტრატეგიული ნედლეულის სახელის შეუტანლად! დელეგაციის მდივანს ივანოვს კომისიის თავმჯდომარის პირადი დოსიეც გაატანეს დაინტერესებული ჟურნალისტების დასაცხრობად, რომელშიც მოთხრობილი იყო ბუდუ მდივნის პარტიულ წარსულზე, „ნაციონალ-უკლონიზმზე", და იმ ნათესავ-ოჯახებზეც, რომელთა შორის ერჩეოდა ცნობილი ჟურნალისტის, რედაქტორისა და თეატრალის კოტე მესხის გვარიც.

სამი დღის შემდეგ ბერლინის სავაჭრო დეპარტამენტში გარიგება--შეთანხმების პროცედურა დაიწყო. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ორივე დაინტერესებული მხარე შეთავაზებული საქონლისა და ნედლეულის მოთხოვნის სიას აზუსტებდა, მაგრამ იქაური მსხვილი კონცერნის მეპატრონე კრუპმა ბუდუ მდივანი გვერდით გაიხმო, აცნობა.

— ხელშეკრულების პროექტს ჩემი მთავრობა მოიწონებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ცალკე საიდუმლო მუხლით სიაში შეიტანთ თქვენში რატომღაც გასაიდუმლოებული ნედლეულის ერთ სახეობას, რომელიც ევროპის საქმიან წრეებში მიჩნეულია თავისუფალი ვაჭრობის საქონლად.

— ვხვდები, ეგ შეუძლებელია! — ამოხდა.

— ვიცი, მაგრამ იქნებ პირადად თქვენ, საქმიანმა კაცმა, შესაძლებლად მიიჩნიოთ?

— მე არ მაქვს სათანადო რწმუნება.

— შევცადოთ მიიღოთ.

— გგონიათ, რომ შევძლებ?!

— თქვენი გავლენა მაღალ წრეში ამის იმედს მაძლევს.

ბუდუ შეეჭვდა, მოტყდა:

— თითქმის შეუძლებელს მავალებთ.

— ო-ო, ეგ უკვე დამაიმედებელი პასუხია, — ეამა კრუპს.

— მაგრამ სარისკოც! — შეაყინა ეჭვი ბუდუმ.

— რისკი წარმატების ნახევარია კეთილშობილ საქმეში. ურისკოდ ერთმანეთში სარგებელს ვერ ვნახავთ, მართალს ვამბობ, მგონი ბატონო თავადო?

— ჩემს თავადურ წარმოშობას საიდან იცნობთ? — გაიკვირვა ბუდუმ.

— მდივნის გვარს მთელი ევროპა იცნობს, კინოარსკვლავის პოლა ნეგრის ახალგაზრდა მეუღლეა, თქვენი მოგვარე ან, შესაძლოა, ნათესავიც?

— მართალს ბრძანებთ, მამამისი დიდი თავადია.

— დიახ, გამიგია ბულგარულ გაზეთებში. უფრო პოლა ნეგრის მეტოქეების [illegible], თურმე საქართველოში ყველა თავადად ითვლება, ვისაც 100 ცხვარი ჰყავს...

— შურთ, ბატონო კრუპ, შურთ პოლა ნეგრის დიდება და მისი ქმრის [illegible] რევოლუციონერმა დიდი ხანია ხელი ავიღე თავადიშვილობაზე, თუმცა ემიგრაციაშიც ბევრი მყავს ნათესავი თავადი — წერეთლები, [illegible] და მიხაკო, ჩხეიძეები, გეგეჭკორები, გაბაშვილები, [illegible]შვილები, მესხები. ყველა ისინი პოლიტიკანები არიან, მხოლოდ ერთი მათგანი — მესხი მოეკიდა ნამდვილ საქმეს, მშვიდობიან სარფიან ბიზნესს, გერმანიაში მოღვაწეობს.

— მაშასადამე, კონტაქტები გვექნება, ჩვენს საქმიან გარიგებაში მისი გამოყენებაც შემეძლება.

— დიდად დამავალებთ, ბატონო, კრუპ, თუ დაეხმარებით.

— რა სალაპარაკოა?

— მაშინ მეც მექნება სათხოვარი, მხოლოდ პირადი ხასიათის.

— მით უფრო მესიამოვნება შესრულება.

— ჩემი ნათესავი მესხი უნდა გამომაყოლოთ.

— სად იმყოფება?

— საპატიმროში.

კრუპი შეცბა.

— ეგ შეუძლებელია!

— ისევე როგორც თქვენი თხოვნაც?

— მე საქონელს გთხოვთ, თქვენ კი სულს.

— მისი სული ჩემი ხორცი და სისხლია.

კრუპმა ნაღვლიანი თვალები ჭერში აჰყარა:

— ნება მომეცით, მაღალ წრეებში მოვსინჯო!

— ოო, ეგ უკვე დამაიმედებელი პასუხია, — გაიმეორა ბუდუმაც.

— ჩავთვალოთ დროებით შეთანხმებად, პასუხი კი ხვალისათვის დავთქვათ.

მეორე დღეს შეიკრიბნენ; პირველმა კრუპმა აცნობა:

— დავითანხმე.

— მეც! — ასარა ბუდუმ.

მეორე დღეს სამი გესტაპოელის თანხლებით მესხი მიიყვანეს სავაჭრო დეპარტამენტის შენობაში. ბუდუსთვის აღწერილი ჰქონდათ მესხის სახე, თვალტანადობა, გარეგნული იერი, თავდაჭერის მანერა, არისტოკრატად ინოდებოდა. ლოყაზე ფარიკაობით მიღებული ნაწიბურიც უნდა ჰქონოდა — გერმანელი სტუდენტების რაინდული გატაცების ნაკვალევი. ბუდუმ იმ ნაწიბურით უნდა იცნოს. მაგრამ ხომ შესაძლოა სხვა შემოუყვანონ ან შეყოვნდეს ნამდვილი მესხის ცნობაში, გესტაპოელები ამითაც მიხვდებიან, მართლა ნათესავია თუ ბუდუც მზვერავია? ერთია ნათესავის განთავისუფლება, მეორეა ოფიციალური რეზიდენტის გამოტყუება? გესტაპო არ შეცდება, მესხის ორეულს შეატყუებენ, რომ ჩაშალონ ბუდუ მდივნის ჩანაფიქრი.

ამ დროს კარი გაიღო და კრუპის წინ აიშოლტა ახოვანი, ნაწიბურსახიანი ორმოცდაათ წელს მიტანებული ევროპელი იერის კაცი, რომელსაც გაკვირვება ეტყობოდა, რომ საპატიმროდან პირდაპირ კრუპის საზოგადოებაში მოხვდა, მაგრამ... „ეს ვილაა, ღმერთო ჩემო, ქუთაისში ნანახი ბუდუ!" მოულოდნელობამ ლოყაზე ძარღვი აუთამაშა. ამან ბუდუ აანთო. მკლავები წინ წაჰყარა და შესძახა —

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები, ბოშო?!

„ნათესავები" ერთმანეთს ჩაეხუტნენ.

ერთმა გესტაპოელმა, ქართული რომ იცოდა, დანარჩენ ორს ჩასჩურჩულა:

— ქართველები არიან, „ბოშოო!" ესე იგი ბავშო, შვილო, ან ძამიკოო!

მესხი ისევ უმალ გაიყვანეს პატიმრის უნიფორმის გასახდელად, საკუთარი კოსტუმი ჩააცვეს და მორთულ-მოკაზმული ბუდუს სასტუმროში მიჰგვარეს.

ბუდუს გაახსენდა გერმანელების პუნქტუალობით გამაცრუებელი კამოს მოქმედებაც, თვეების განმავლობაში რომ თავს იგიჟიანებდა და პატიმარი რუსეთის ჟანდარმერიას გადასცეს. სჯეროდათ, რომ თბილისის საგიჟეთშიც გერმანელი ფსიქიატრების დიაგნოზს დაადასტურებდნენ.

ბუდუმ იმ ძვირ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და განიერი მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოიხსნა.

მეორე დღეს კი მესხთან ერთად ვარშავის სადგურს მიადგნენ. ბაქანზე ჩასულ ბუდუს პაროლი მოესმა: „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება".

ბუდუ მესხს გამოემშვიდობა.

მატარებელი მოსკოვისაკენ დაიძრა.

ღამით კრემლში მივიდა. სტალინმა გაუღიმა:

— პირობა შეასრულე, გმადლობ!

კალინინს დაურეკა:

— ამხანაგმა ბუდუ მდივანმა როგორც სავაჭრო კომისიის თავმჯდომარემ, ჩვენი პარტიის სერიოზული დავალება შეასრულა! რა ჯილდო ეკუთვნის ამისათვის?...

ყურმილში კალინინის ხმა გაისმა:

— რასაკვირველია, ლენინის ორდენი!

— მაშ გააფორმეთ, მოიტანეთ! თავის ხელით ბუდუს მკერდს მიაბნია და ჩასჩურჩულა:

— ნუ გაგიკვირდება, გაზეთებში არ დაიბეჭდება.

—ისიც მიკვირს, ცოცხალი რომ ვარ!— გადაიხარხარა ბუდუმ.

—ახლა მეორე პირობა გახსოვდეს.

— ბრძანე, კობა.

— როგორც დავთქვით, მხოლოდ ორმა ვიცით, მე და შენ!..

—. მახსოვს!

ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

ბუდუმ მღელვარებას ველარ გაუძლო. თბილისიდან გამოყოლილ თანამგზავრს გვიან ღამით ტელეფონით ახარა:

— სტალინმა ლენინის ორდენით დამაჯილდოვა, გულზე მაბნევია!

— რა დამსახურებისათვის?

— ეს დიდი საიდუმლოებაა, მარტო სტალინმა და მე უნდა ვიცოდეთ!

სახლში მაინც დაურეკე, გაეხარდებათ, ალბათ ღელავენ!

— მართალი ხარ!

ოჯახს ელაპარაკა, გაახარა. მერე დაფიქრდა; „ბერიამაც ხომ უნდა იცოდეს?" დაურეკა:

— მე ვარ, ბუდუ მდივანი!

— მოგილოცავ ორდენით დაჯილდოებას, — დაასწრო ბერიამ, ჩამობრძანდით, სადგურზე დაგხვდებით.

ჩამოვიდა. სადგურიდან ჩეკაში წაიყვანეს. აწამეს. ბერიამ სტალინს დაურეკა:

— ბუდუმ სიტყვა გატეხა, თავისი გმირობა, რისთვისაც თქვენი ხელით ლენინის ორდენი მიაბნიეთ, მთელ თბილისს მოსდო.

სტალინმა ხელი ჩაიქნია:

— ჯბედი!...

იმ ღამესვე გაქრა.

მამა-პაპათა კერაზე დასაბრუნებლად

რთული და მრავალგვაროვანია სამშობლოს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეების რეპატრიაციის პრობლემა. საქართველოში მათ გამოსახლებასთან, წინაპართა მიწაზე ადაპტაციასთან, მათთვის ცხოვრების ხელსაყრელი პირობების შექმნასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი. მაგრამ ბოლო დრომდე ეს საკითხები ზოგჯერ კამპანიურად, ნაწილობრივ წყდებოდა. არ არსებობდა ქმედითი მაკოორდინირებელი ცენტრი, რომელსაც შეეძლებოდა თვითონ გაძღოლოდა რეპატრიანტების პრობლემის გადაჭრის მთელ კომპლექს.

ახლა ასეთი ცენტრი შეიქმნა. ეს არის საქართველოს სს რესპუბლიკური სარეპატრიაციო კომისია, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად ჩამოყალიბდა. მის შემადგენლობაში არიან მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა, კომკავშირული და სამართალდაცვითი ორგანოების, შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, საბჭოთა კავშირის ბავშვთა ფონდისა და კულტურის ფონდის საქართველოს განყოფილებების ხელმძღვანელები.

ამ კომისიის პირველ სხდომაზე, რომელსაც მისი თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ჯავახიშვილი უძღვებოდა, გაიმართა საქმიანი, კონსტრუქციული სჯა-ბაასი ირანიდან რეპატრირებული ფერეიდნელი ქართველების მიღება-განსახლებასთან, ახალ საცხოვრებელ ადგილებზე დამკვიდრებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად, რათა ასწლეულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ჩვენმა თანამემამულეებმა თავი უცხოდ არ იგრძნონ.

ამჟამად საქართველოში, კერძოდ თბილისში, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში ცხოვრობს ფერეიდნელთა 31 ოჯახი, 127 კაცის რაოდენობით. ბევრი მათგანი უკვე აქ დაიბადა, განათლება მიიღო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მუშაობს არჩეული სპეციალობით. აღინიშნა, რომ რეპატრიანტების ადაპტაციის პროცესი მთლიანად ნორმალურად მიმდინარეობს. ადგილებზე ბევრი რამ კეთდება მათთვის ცხოვრების, შრომისა და სწავლის სათანადო პირობების შესაქმნელად. მაგრამ, ხდება ხოლმე, რომ ამ საქმეში წარმოიქმნება პრობლემები, რომლებიც უფრო გულდასმით და სერიოზულ მიდგომას საჭიროებენ. სამწუხაროდ, ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ, ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეანელეს ყურადღება გადმოსახლებულებისადმი. ყველას არ ყოფნის მოთმინება და გულისხმიერება მათთან ურთიერთობისას. მაგალითად, გურჯაანის რაიონში მცხოვრები ფერეიდნელები ბოლო დროს უკმაყოფილებას გამოთქვამენ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრივ მათი საჭიროებებისადმი არასაკმარისი ყურადღების გამო.

გაანალიზეს რა გადმოსახლებულთა ოპტიმალური განსახლების, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერის გაწევის შესაძლებლობები და გზები, სხდომის მონაწილეებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი იმის თაობაზე, რომ რეპატრიანტები, მეტადრე ახალგაზრდობა, უფრო აქტიურად ჩაებან შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური მიდგომა თითოეული მათგანისადმი, გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლე და სტუდენტ ფერეიდნელებთან, მათი სწორი ორიენტაცია ცხოვრებაში, პროფესიის არჩევაში. ბევრი რამ არის გასაკეთებელი სამისოდ, რომ ყველა საკითხი, რომლებიც გადმოსახლებულთა აღელვებენ, ოპერატიულად, ბიუროკრატიული გაჭიანურების გარეშე წყდებოდეს. თავის მხრივ, საჭიროა თვით ფერეიდნელებს ჩაუნერგოთ სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, მივაღწიოთ იმას, რომ ისინი ცხოვრობდნენ რესპუბლიკის ცხოვრებით, ახსოვდეთ როგორც თავიანთი უფლებები, ისე ვალდებულებები.

კომისიამ განიხილა პროექტი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, რომლითაც განისაზღვრა რეპატრიაციასთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი წრის გადაწყვეტის გარკვეული ღონისძიებანი. მიზანშეწონილად მიიჩნია შემუშავდეს ერთიანი დოკუმენტი, რომელიც მოაწესრიგებს ფერეიდნელ ქართველთა სტატუსს, შექმნის წინაპართა მიწაზე მათი დაბრუნების, მშობლიურ ქვეყანაში ცხოვრების სათანადო პირობებს. (საქინფორმი)

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის კონკურსებში გამარჯვებულნი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ განიხილა კომისიის გადაწყვეტილებანი ჟურნალისტთა კავშირის 1988 წლის კონკურსების შედეგების შესახებ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის 1988 წელს გამოცხადებულ კონკურსში **„წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნაწარმოებისათვის"** საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, როგორც საგანგებო გამონაკლისი, კონკურსში დაუშვეს და მიმდინარე წლის ნამუშევრისათვის **პირველი პრემია მიეკუთვნა გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას" კორესპონდენტს იური როსტს 9 აპრილს ქ. თბილისში დატრიალებული ტრაგედიის დროს გამოჩენილი ჟურნალისტური გამბედაობის, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობისა და ოპერატიულობისათვის, რაც აისახა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" ფურცლებზე დაბეჭდილ მის პუბლიკაციასა და ფოტორეპორტაჟში.**

ამ მასალის დაბეჭდვაში გაწეული მხარდაჭერისა და ტრაგედიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაში გამოჩენილი გამბედაობისათვის მეორე პრემია დაიმსახურა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქციამ.

მესამე პრემია მიენიჭა გ. ხიდაშელს (გარდაცვალების შემდეგ) საქართველოს ტელევიზიით გადაცემული ციკლისათვის — „ცის ქვეშ დაყრილი მილიონები".

კონკურსებში **„ეკონომიკური რეფორმა და პრესა"** ავტორებს შორის პირველი პრემია მიეკუთვნა რ. გოცირიძეს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს — გაზეთ „თბილისში" დაბეჭდილი მასალისათვის; მეორე პრემია — მ. ნემიროვს, გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის" საკუთარ კორესპონდენტს;

სარედაქციო კოლექტივებს შორის პირველი პრემია მიენიჭათ — ჟურნალ „პარტიული სიტყვის" რედაქციას; მეორე პრემია „სოვეტსკაია აბხაზიას", მესამე— გაზეთ „ბორჯომის" რედაქციას.

ფოტოკონკურსში **„ჩვენი საუკუნე გიცავს უახლეს"** — პირველი პრემია დაიმსახურა გაზეთ „კომუნისტის" ფოტოკორესპონდენტმა ფელიქს კრიმსკიმ სომხეთში დატრიალებული ტრაგედიის ამსახველი ფოტორეპორტაჟებისათვის; მეორე და მესამე პრემიები გაიყვეს ზ. დითუაშვილმა, ვ. გენგიურმა, თ. ბიბილურმა და დ. იაკობაშვილმა.

კონკურსი **„საუკეთესო საყმაწვილო პუბლიკაციისათვის"** არ შედგა. რადგან ამ კონკურსში წარმოდგენილი იყო სულ 2 მასალა.

კონკურსში **„რესპუბლიკის რაიონულ გაზეთებს შორის"** წარმოდგენილი მასალების მიხედვით პირველი პრემია დაიმსახურა თელავის რაიონულმა გაზეთმა „ალაზნის განთიადმა", მეორე პრემია — ამბროლაურის გაზეთმა „კომუნიზმის დროშამ", მესამე — ზესტაფონის რაიონულმა გაზეთმა „ლენინელმა".

კონკურსში — **„ვეტერანი ჟურნალისტის საუკეთესო პუბლიკაციისათვის"** დაწესებული პრემიები გაიყვეს ე. ჯაფარიძემ (ჟურნალი „საქართველოს ქალი"), გ. მეფისაშვილმა (ქუთაისი) და ს. გველესიანმა („ვეჩერნი ტბილისი").

კონკურსში — **„ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტის საუკეთესო პუბლიკაციისათვის"** პრემიები მიენიჭათ ამ ფაკულტეტის V კურსის სტუდენტებს გ. ზუბაშვილს და მ. თუნგიას.

კონკურსში — **„საზოგადოებრივი კორესპონდენტის საუკეთესო პუბლიკაციისათვის"** — შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებულ იქნა, რომ გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციასთან მოქმედებს საზოგადოებრივ კორესპონდენტთა ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულმა კორესპონდენტებმა საკონკურსოდ არაერთი საინტერესო პუბლიკაცია წარმოადგინეს. ამ ინსტიტუტის მუშაობის მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით ერთ-ერთი პრემია გადაეცა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციას. პრემია დაიმსახურა აგრეთვე ნ. გოგოლაშვილმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" დაბეჭდილი პუბლიკაციებისათვის.

კონკურსში — **„წლის საუკეთესო პუბლიცისტური ნაწარმოებისათვის"** პრემია მიენიჭა პროფესორ ნოდარ ტაბიძეს მეცნიერულ-პუბლიცისტური ნაშრომისათვის „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა". (საქინფორმი)

ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი!

ბურჯი ერის წარმატებისა

ნებისმიერი სასწავლებელი მოწოდებულია შეესაბამებოდეს საზოგადოების განვითარების დონეს, მის სტრუქტურასა და მოთხოვნილებებს, რადგან სკოლაში, როგორც სარკეში, აირეკლება საზოგადოების ავ-კარგი, მანკიერებანი თუ დადებითი მხარეები. და პირიქით — სასწავლებელდამთავრებული ქალიშვილები და ჭაბუკები ის თაობაა, შემდგომ რომელიც წარმართავს კიდეც საზოგადოების ცხოვრებას. ამიტომ, როდესაც გარდაქმნაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია იგი სწორედ სკოლით დავიწყოთ — ყველასათვის სასურველი საქართველოს სუვერენიტეტი ფიქცია იქნება, თუკი სკოლა არ გარდავქმენით. ამას კი ერთობლივი ძალისხმევა, საზოგადოების ყველა წევრის თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება.

თუ რა ვითარებაა ჩვენს სკოლებში, ყველამ კარგად იცის. ძალზე გვიჭირს, წლების მანძილზე წაბდენილ საქმეს კი ყოველდღიური შრომით, რუდუნებით სჭირდება გამოსწორება. აჩქარება ამ სფეროში შეუწყნარებელია.

რამ გამოიწვია დღევანდელი კრიზისული მდგომარეობა ჩვენს სკოლაში? ცნობილია, რომ ქართული სკოლის განვითარება ათეული წლების მანძილზე არსებითად იმ ერთიანი გეგმებისა და პროგრამების შესატყვისად მიმდინარეობდა, რომლებიც საფუძვლად ედო საბჭოთა სკოლას. მართალია, სხვადასხვა მოკავშირე თუ ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებულ სკოლებს ეწოდებოდათ ეროვნული სკოლები, მაგრამ ისინი არც სტრუქტურით, არც ერის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, არც სწავლების შინაარსით, არც მიზნებითა და არც ამოცანებით ფაქტობრივად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სხვაობა ძირითადად მშობლიური ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე, მეტ-ნაკლებად, საკუთარი ერის ისტორიის სწავლებით განისაზღვრებოდა.

17 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი. იგი ქართველი ერის არსებობის ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროს მოიცავს. სახალხო განათლების სამინისტრო სათავეში ჩაუდგა ეროვნული სკოლის კონცეფციის შემუშავების საქმეს, გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება მიეცათ როგორც სამეცნიერო კოლექტივებს, ისე ცალკეულ პირებს. ამჟამად სამინისტროში კონცეფციის პროექტის 10 ვარიანტია შემოსული, რომლებსაც საყოველთაო განხილვისათვის გამოვაქვეყნებთ. წარმოდგენილია აგრეთვე ახალი პროგრამები, იქმნება ქრესტომათიები და მეთოდიკური სახელმძღვანელოები.

მთავარი ის არის, რომ ეროვნული სკოლის კონცეფცია აუცილებლად უნდა დაეფუძნოს წარსულის ტრადიციებს — სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილიას, იაკობ გოგებაშვილისა და ჩვენი სხვა სასიქადულო მამულიშვილების კლასიკურ მემკვიდრეობას; მაგრამ ტრადიციების გარდა არსებობს თანამედროვე ფსიქოლოგიური და პედაგოგიური გამოკვლევები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია.

დღევანდელი პროგრამები, ქრესტომათიები და სახელმძღვანელოები ფაქტობრივად, დროებითია, თუმცა მათზე ხელაღებით უარის თქმა არ შეიძლება — ეს სკოლის მუშაობის შეფერხებას გამოიწვევს. სასკოლო პროგრამებსა და წიგნებში ამ ეტაპზე შეტანილი სასიკეთო ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივია. საბოლოო სახით მათი დამუშავება სერიოზული ძალისხმევის საგანი გახდება საერთო-ეროვნული კონცეფციის შემუშავების შემდეგ. დღევანდელი შენიშვნები და გარკვეული უკმაყოფილება ზოგჯერ ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტულ ვითარებას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ტენდენცია უკეთესობისკენაა მიმართული, ხოლო ამ ტენდენციის რეალიზაციას დრო და საქართველოს საუკეთესო ინტელექტუალური პოტენციალი სჭირდება.

სასწავლებლების რადიკალურ გარდაქმნაზე რომ ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ სკოლებს რამდენიმე მოდელის შექმნას. იქნება ალტერნატიული სასწავლებლები — დიფერენცირებული თუ სპეციალიზებული სწავლების სკოლები. აქედან გამომდინარე, უნდა არსებობდეს ალტერნატიული სახელმძღვანელოებიც.

თუ დღეს რაიმე სჭირდება ჩვენს სკოლას, უპირატესად მეცნიერული დონის ამაღლება. ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, აგრეთვე ა. ზარამიძე, სხვები და სხვები, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. ყველა კარგად ვხედავთ, რა მოგვიტანა მეცნიერებისა და სკოლის გამიჯვნამ, დღეს არის რეალური შესაძლებლობა მათი შეკავშირებისა. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო თავისი შექმნის დღიდანვე ამ გზას დაადგა.

გარდაქმნის მიმდინარე პროცესმა მრავალი საჭირბოროტო საკითხი წარმოაჩინა საკავშირო მასშტაბით. ბუნებრივია, ეს შეეხო ჩვენს რესპუბლიკასაც და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული სიმწვავითაც. მრავალი პრობლემა, რომლებზეც ადრე ყურადღებას არ ვამახვილებდით, უფრო მეტიც, თვალსაც ვხუჭავდით, ამჟამად ერთბაშად წამოიჭრა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ დღევანდელი რთული პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკაში მოსახლეობისა და ხელისუფლების ინტერესების გათიშვამ განაპირობა. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა კონსოლიდაცია, უნდა შევკავშირდეთ და ერთი მიზანსწრაფვით წარვმართოთ ჩვენი ეროვნული ენერგია. ამ მხრივ ხელისუფლებამ უკვე არაერთი ნაბიჯი გადადგა. კონსოლიდაციისა და სრული სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე უდიდესი პასუხისმგებლობით გვმართებს ახალგაზრდობის აღზრდა, მისი ჩაბმა ამ საქმეში. აღარ უნდა განმეორდეს წინა თაობების შეცდომა ახალგაზრდებთან დამოკიდებულებაში.

განათლების მიღება წარმოუდგენელია წესრიგისა და დისციპლინის გარეშე. გასული სასწავლო წელი — ესოდენ ტრაგიკული ჩვენი ხალხისათვის, ცხადია, მძიმე აღმოჩნდა სახალხო განათლების სისტემისათვის. ახალ სასწავლო წელს მთელი ჩვენი ძალისხმევა უნდა მივმართოთ სასწავლო პროცესის კარდინალური გაუმჯობესებისაკენ. „არა იარაღით გვჭირდება შეიარაღება, არამედ ცოდნითა... — ამბობდა იაკობ გოგებაშვილი. — ცოდნა უძლიერესი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის... სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი დაუდგება." თუ ამ სულისკვეთებით არ აღვზარდეთ ახალგაზრდობა, თუ ვერ უზრუნველვყავით ის, რომ სწავლების პროცესი ხელშეუხებელი იყოს, შეიძლება ხელიდან გამოგვეცალოს ერის მომავალი, „ბურჯი ერის წარმატებისა".

თბილისის უნივერსიტეტი მყარ ბალავერს დაეფუძნა. ეს საძირკველი იმ თაობამ შეამზადა, რომელსაც განათლება მსოფლიოს მოწინავე სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული. ამიტომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა, მაქსიმალური რაოდენობით მივავლინოთ მოსწავლეები, სტუდენტები და სტაჟიორები უცხოეთის სასწავლებლებში. ამის საშუალება თანდათანობით მეტი და მეტი იქნება. რესპუბლიკების განათლების სამინისტროს ყველა პირობა აქვს შექმნილი, რათა ერის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს სკოლის ნებისმიერი პრობლემა.

ახალ სასწავლო წელს ხვალიდან, 2 ოქტომბრიდან ვიწყებთ. ამ გადაწყვეტილებამ ჩვენს რესპუბლიკაში ერთგვარი მითქმა-მოთქმა და გარკვეულ წრეებში უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. ამის თაობაზე განრისხებული საპროტესტო წერილებიც მივიღეთ რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონიდან. აღნიშნულ ბრძანებას სახალხო განათლების სისტემის მუშაკთა უმრავლესობა მოწონებით შეხვდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულების საფუძველზე სახალხო განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება სასწავლო წლის 2 ოქტომბრიდან დაწყების შესახებ. მასში ისიც იყო მითითებული, რომ საქართველოს სსრ რაიონული განათლების განყოფილებებს, აუცილებლობის შემთხვევაში, ნება ეძლეოდათ, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, სწავლას 1 სექტემბრიდან შედგომოდნენ (ცხადია, თუკი ისინი საამისოდ მზად იქნებოდნენ). ჩვენ განზრახული გვაქვს შევამოწმოთ ის სკოლები, რომლებმაც სწავლა 1 სექტემბრიდან დაიწყეს, და თუ აღმოჩნდება, რომ ამისათვის ისინი არ ყოფილან მზად, მთელ პასუხისმგებლობას რაიონული განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელებს მოვთხოვთ.

პერიოდულ პრესაში ამ ბოლო ხანს გახშირდა წერილები, რომლებშიც იგრძნობა სამართლიანი შეშფოთება სახალხო განათლების დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. მაგრამ მარტო კრიტიკული პათოსი საქმეს უშველის? — ჩვენ თანადგომა გვჭირდება. ამჟამად ჩვენში მრავალი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა — ზოგს პარტია ეწოდება, ზოგს — ფრონტი, ზოგსაც — საზოგადოება. სახალხო განათლების სამინისტრო მზად არის ითანამშრომლოს ყველასთან. მთავარია, ამ თანამშრომლობის შედეგი წაადგეს უმთავრესს — სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას და შემდგომ განვითარებას. განათლების სამინისტრო მზად არის შეხვდეს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს სამსჯელოდ, საკამათოდ. ყოველი თვის პირველი კვირის ოთხშაბათს სახალხო განათლების სამინისტროში იმართება ბრიფინგები, პრესკონფერენციები, რომლებსაც ესწრებიან პრესისა და საერთოდ, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ჩვენი სამინისტროს მიერ შემოღებულმა სიახლემ — სამი არადამაკმაყოფილებელი ნიშნით მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის წესმა (ამ მოსწავლეებს სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე გასვლის უფლებაც აქვთ). რით ვხელმძღვანელობდით, როცა სსრ კავშირის სახალხო განათლების სამინისტროდან მოსულ ამ რეკომენდაციას მხარი დავუჭირეთ?

აი, რით: ყველამ იცის, რომ მოსწავლეს გარკვეული საგნების შესწავლისაკენ აქვს მიდრეკილება. რატომ ვერ უნდა მიიღოს უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება ყმაწვილმა, რომელიც ამ სფეროში ნიჭიერებით გამოირჩევა (ეს მისმა მასწავლებელმაც იცის), მაგრამ ტექნიკურ საგნებს ვერ სძლევს? ამის გარდა, განა ყველამ არ ვიცით, როგორ იწერებოდა ის ნაწყალობევი სამიანები, ან როგორ ბარდებოდა საშემოდგომო გამოცდები? სწორედ აქედან იღებდა ხშირად სათავეს ანგარება, უზნეობა, უპასუხისმგებლობა. ნიშნის პრესტიჟის დაცემას მოჰყვა სკოლის პრესტიჟის დაცემაც.

სხვათა შორის, აღნიშნულ ინსტრუქციაში მითითებული იყო, რომ თითოეული რეკომენდაციის მიღება-არმიღების საკითხი უნდა გადაიჭრას ადგილზე — პედკოლექტივებისა და მასწავლებელთა საბჭოების მიერ. ეს ეხება სხვა ნებისმიერი პრობლემის მოგვარებასაც. დღესდღეობით სკოლებს მეტი დამოუკიდებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება აქვთ მინიჭებული, მაგრამ დირექტორებმა ძველი, სტერეოტიპული მუშაობის მანერა ვერ მოიშორეს და თვალი მზამზარეულ რეცეპტებისკენ უჭირავთ. გარდა ამისა, ნაკლებად მუშაობენ საკუთარ თავზე.

კადრების გაახალგაზრდავებისა და გაუმჯობესების მიზნით სახალხო განათლების სამინისტროს დაგეგმილი აქვს ერთი სიახლის დანერგვა: სტუდენტები პედაგოგიურ პრაქტიკას მესამე კურსიდან გაივლიან. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ღირსეულნი იქვე დარჩებიან სამუშაოდ. უფრო მეტიც: დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს ნება მიეცემათ იმუშაონ თავიანთი რაიონების სკოლებში. დღევანდელმა რთულმა სოციალურმა და დემოგრაფიულმა ვითარებამ გვიკარნახა ამგვარი ნაბიჯის გადადგმა და ამიტომაც წელს მაქსიმალური რაოდენობით ჩაირიცხნენ აბიტურიენტები უმაღლესი სასწავლებლების დასწრებულ, დაუსწრებელ თუ მოსამზადებელ განყოფილებებზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით ის ახალგაზრდები, რომლებიც სამუშაოდ ე. წ. რთულ რაიონებში წავლენ, მაქსიმალურად იქნებიან უზრუნველყოფილი მატერიალურად და საყოფაცხოვრებო პირობებით. ამით ახალგაზრდა სპეციალისტებსაც შევუნარჩუნებთ თავიანთ მშობლიურ რაიონებს და მიგრაციასაც შევებრძოლებით. ამავე მიზნით სამინისტრო ახორციელებს მუშაობას უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი ფაკულტეტის რაიონული მოთხოვნილებების მიხედვით დისლოკაციისათვის. ამ საქმეებში მხარში გვიდგას სულ ცოტა ხნის წინათ განათლების სამინისტროს ხელშეწყობით შექმნილი ახალგაზრდა პედაგოგთა ასოციაცია, აგრეთვე უნივერსიტეტისა და ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მსურველთა რიცხვი, რომელიც ნებით წავა ასეთ რაიონებში, ჯერჯერობით მცირეა. ჩვენი მხრივ კი პირობას ვიძლევით, რომ შემდგომშიც ყველაზე მეტი ხელშეწყობა ექნებათ ახალგაზრდებს, რათა მათ სრულად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, უნარი, სიახლე შეიტანონ სკოლებში.

წელს სკოლები მიიღებენ 77 დასახელების სახელმძღვანელოს 3.5 მილიონამდე საერთო ტირაჟით, მათ შორის 5 ახალს და 2 გადამუშავებულს. დანარჩენი სახელმძღვანელოები ჯერჯერობით დაიბეჭდება უცვლელად. როგორც ითქვა, ქართული ლიტერატურის მასწავლებლები სულ მალე მიიღებენ ახალ სახელმძღვანელოებს, რომლებიც განკუთვნილია IX-X-XI კლასებისათვის. მზადდება ქართული ლიტერატურის ქრესტომათია.

შარშან სკოლებში აპრობაცია გაიარა „საქართველოს ისტორიის" ახალმა სახელმძღვანელომ. წელს დაიბეჭდება ამ სახელმძღვანელოს გადამუშავებული ვარიანტი 100-ათასიანი ტირაჟით, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მოთხოვნას. აქვე მინდა შევნიშნო, რომ მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილზე. მიღწეულია შეთანხმება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად საქართველოს ისტორიის კომპიუტერული კურსის შექმნის თაობაზე. განზრახული გვაქვს კურსის შექმნა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იმ შემთხვევაში, თუ კურსი მოწონებას დაიმსახურებს, ის გავრცელდება როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მიმდინარეობს მუშაობა სახელმძღვანელოს შესაქმნელად ხელოვნების ისტორიაშიც, რისთვისაც მოწვეული არიან ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერები. ასევე იქმნება ხელოვნების კურსი უმაღლესი სკოლებისათვის, მუშავდება რელიგიის ისტორიის სახელმძღვანელო.

კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე: წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლას. სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით გადაწყდა გაკვეთილებზე კლასების გაყოფა; ცალკე საგნებად შეისწავლება საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია; რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში სავალდებულო საგნად იქცა ქართული ენის სწავლება. ჩვენი ვალია ყოველმხრივ დავეხმაროთ ამ სკოლებს არა მარტო ქართულის სწავლების სათანადო დონეზე დანერგვაში, არამედ სხვა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაშიც.

ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად გვესახება სამხედრო სწავლების გაძლიერება, და აი, რატომ: 1921 წლამდე საქართველოს ჰყავდა 170-ათასიანი ეროვნული საჯარისო ფორმირებები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო შემცირდა, ხოლო 1956 წელს სულაც დაიშალა. ქართველმა კაცმა დაკარგა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული თვისება — მხედრული სული, სამხედრო ხელოვნებისადმი მისწრაფება. ამიტომ სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც უნდა უზრუნველვყოთ ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლა. უკვე დაისვა საკითხი, და, თუ შეიძლება ითქვას, საკმაოდ რეალურად გვეჩვენება ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებათა აღდგენა. ამას კი მომზადებულნი უნდა შევხვდეთ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას რაინდული სულისკვეთებით. ერის საფუძველი არა მარტო სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების, არამედ ფიზიკურ შესაძლებლობათა ერთობლიობაცაა.

თანამედროვე პირობებში მომავალი თაობის კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფა საერთო-სახალხო, ეროვნული, ვიტყოდი, საარსებო მნიშვნელობის საქმეა. საჭიროა სასწავლებელთა მთლიანი კომპიუტერიზაცია. მაგრამ ეს არ არის საკმარისი — აუცილებელია კომპიუტერების ქართულ ენაზე ამოქმედება. ეს პროცესი არ მიმდინარეობს სწრაფი ტემპით, მაგრამ ერთს კი შევნიშნავ — 1990 წელს ყოველი რაიონისა და ქალაქის ერთ ან ორ სკოლაში მოეწყობა გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი.

სამინისტროს დაკვეთით დანერგილია „კორვეტის" ტიპის სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტების ქართულენოვანი ვარიანტის წარმოება. სამინისტროს შეკვეთით არის აგრეთვე დამუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა ქართულ ენაზე იაპონური ფირმის „იამახას" სასწავლო კომპიუტერებისათვის.

სახალხო განათლების სამინისტროსა და აშშ-ს კოლორადოს შტატის „როქი მაუნთ სქულის" ინსტიტუტს შორის 1988 წელს დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება. განზრახული გვაქვს მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომპიუტერული ცენტრის მშენებლობა ბავშვთა აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელი კომპლექსის „მზიურის" ბაზაზე.

ერთსაც ვიტყოდი: როდესაც ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო-დაწესებულებები იმდენად მომძლავრდებიან, რომ ვალუტის სისტემატურ შემოტანას შეძლებენ, გარკვეული პროცენტი ამ ვალუტისა აუცილებლად სასწავლებლებსაც უნდა გადაერიცხოს, უახლოეს მომავალში ჩვენვე უნდა შევძლოთ განათლების მსოფლიო სტანდარტების მიხედვით ახალგაზრდობის აღზრდა, ეს უნდა მოვახერხოთ საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტებისა და საკუთარი კადრების საშუალებით.

ყოველ წელს ათასი რიგიანი, თავისი საქმის ერთგული, პროფესიული, მაღალკვალიფიციური ახალგაზრდაც რომ აღიზარდოს საქართველოს სასწავლებლებში, ამით საქართველოს ტკივილს ეშველება. ეს ახალგაზრდები გამოიყვანენ მას დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან. მათ უმაღლეს დონეზე მოსამზადებლად არაფერი უნდა დავიშუროთ.

ყველამ უნდა ირწმუნოს, რომ ეროვნული ხსნის, ძლიერების გზა ის გზაა, რომელსაც ჩვენი წინაპრები მისდევდნენ. სათქმელი რომ უფრო გამოვკვეთოთ, მოვიყვან იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს: „ჩვენში პატრიოტობა.... იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავის-თავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული".

ჩვენი ერი იდეურად უკვე გაერთიანდა ერთი მიზნის — საქართველოს სრული სუვერენიტეტის მისაღწევად. საჭიროა ფსიქოლოგიური გაერთიანებაც. ეს გვესახება სწორედ ხსნის ერთადერთ სწორ გზად.

გურამ ენუქიძე,
საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი.

მიაშურებენ სასწავლებლებს...

კარს მოგვადგა ახალი სასწავლო წელი, მართალია, არატრადიციულად, ერთი თვის დაგვიანებით, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრზე ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ სასწავლო დაწესებულებები, პედკოლექტივები საგულდაგულოდ მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის.

კეთილ საქმეებში კარგა ხანია სტუდენტთა შრომითი სემესტრიც იგულისხმება. ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები ყოველთვის არიან იქ, სადაც ყველაზე მეტად არის ხოლმე საჭირო მათი შემართება, ენთუზიაზმი, ნათელი გონება და თავდაუზოგავი გარჯა.

ამ მხრივ საუკეთესო ტრადიციები აქვს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსაც. წლეულს მესამე შრომით სემესტრში მისი 1450 სტუდენტი მონაწილეობდა 200 არასამშენებლო რაზმში, 150 — ბუნების ძეგლთა დაცვისა და არქეოლოგიური კვლევის რაზმებში და სხვ. რესპუბლიკის გარეთ წასულებმა კი ქალაქებში გაგარინსა თუ ლენინაკანში პირველი ადგილები დაიკავეს..

შრომით სემესტრში მონაწილეობდნენ პირველკურსელებიც, ისინი, ვინც ხვალ მოკრძალებით, დიდი სიხარულით გადააბიჯებენ სასწავლებლის ზღურბლს. ინსტიტუტის სამთო, სანტექნიკის, ქიმიური და ენერგეტიკის ფაკულტეტების 80 პირველკურსელი 15 სექტემბრიდან დიდი ხალისითა და შესაშური ნებისყოფით ეხმარება არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს. ამჟამად ითხრება თბილისის ტერიტორიაზე თრელი გორების ნასახლარი და სამაროვანი. თბილისის ექსპედიციის ხელმძღვანელი მიხეილ აბრამიშვილი და მისი მოადგილე დავით გოცირიძე მადლიერებით ლაპარაკობენ სტუდენტებზე, იწონებენ საქმისადმი მათს გულიან დამოკიდებულებას.

ახალგაზრდები განსაკუთრებული სიყვარულით ესათუთებიან წარსულის ნაშთებს. ისინი რუდუნებით წმენდენ ჩვენი წელთაღრიცხვის XI-XII საუკუნეების ნასახლარებს. მიაგნეს ოთახს, სადაც აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქურა, ძველებური კერამიკა...

ხვალ კი ახალი სასწავლო წლის დაწყების მაცნე ზარიც ჩამორეკს.

სურათზე: პირველკურსელები არქეოლოგიურ გათხრებზე.

თ. ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტო.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
30 სექტემბერი

● საფრანგეთი

ჟ. მარშეს გამოსვლა

პარიზი. საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნა, უეჭველად, შეესაბამება ადამიანისათვის და ადამიანის კეთილდღეობისათვის სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის კონცეფციას. ეს განაცხადა რტლ რადიოსადგურის პროგრამით გამოსვლისას საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ, რომელმაც მსმენელებს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში ვიზიტის შესახებ. გარდაქმნის მიზანია მეორე ახალგაზრდობა შთაბეროს სოციალისტურ საზოგადოებას, განახორციელოს მისი მოდერნიზაცია ადამიანთა რეალური საჭიროებებისა და მისწრაფებების სრული დაკმაყოფილებისათვის, თქვა მან. ჟ. მარშემ აღნიშნა, რომ არ არსებობს სოციალიზმის ერთიანი მოდელი, და ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველას, ვისაც სურს იაროს სოციალიზმის გზით, შეუძლია თავისთვის სასარგებლო დასკვნები გამოიტანოს. თუ თავდაპირველად მთლიანად არ იყო გათვალისწინებული მომავალი ეკონომიკური, სოციალური და დემოკრატიული გარდაქმნების ჩარჩოები, ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა სავსებით ფლობს სიტუაციას, ხელმძღვანელობს გარდაქმნას.

ახლო აღმოსავლეთი

შინ ბრუნდებიან

ბეირუთი. ლიბანელები უბრუნდებიან მშობლიურ ადგილებს, რომლებიც მათ არტილერიის ინტენსიური ცეცხლის დაშენის გამო მიატოვეს. დედაქალაქში იხსნება მაღაზიები, ამუშავდა სახელმწიფო დაწესებულებანი. დაგეგმილია ოქტომბრის დამლევს განახლდეს მეცადინეობა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ლიბანის ნავსადგურებში ყოველდღიურად ტვირთავენ ათობით გემს. სულ უფრო გაცხოველებული ხდება ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტი. უკვე მეოთხე დღეა ლიბანის ეროვნული კომპანიის თვითმფრინავები ახორციელებენ რეგულარულ რეისებს ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

საყოველთაო გაფიცვა

კაირო. ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე გაიმართა საყოველთაო გაფიცვა. იგი მოეწყო პალესტინის აჯანყების გაერთიანებული ხელმძღვანელობის მოწოდებით პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის მოსახლეობის სოლიდარობის ნიშნად.

ნაბლუსში, ჯენინში, ბეით-ლახმსა და არაბეთის სხვა ქალაქებში გაიმართა მასობრივი მანიფესტაციები. მათი მონაწილენი მოითხოვდნენ ისრაელის უკანონო ოკუპაციის შეწყვეტას. ამ გამოსვლებს განსაკუთრებული გაქანება მიენიჭა ღაზაში, რაფახსა და პალესტინელ ლტოლვილთა ჯაბალიის ბანაკში, სადაც მოხდა ყველაზე გაფთრებული შეტაკებანი ისრაელის ჯარებთან. 20 პალესტინელი დაიჭრა პლასტიკის ტყვიით და ხელკეტებით, ათობით კაცი მოიწამლა ცრემლსადენი გაზით. ჯაბალიაში ჯარისკაცებმა ბულდოზერებით დაანგრიეს სამედიცინო პუნქტის შენობა, იმის გამო, რომ მისი პერსონალი დახმარებას უწევდა დაჭრილ დემონსტრანტებს.

● ჩინეთი

მორიგი აკრძალვები

პეკინი. ყველა დონის პარტიულ-სამთავრობო დაწესებულებებისა და უწყებების მუშაკებს ეკრძალებათ ბანკეტების ან კოქტეილების მოწყობა სახელმწიფო ხარჯზე. ეს აკრძალვა, აქ გამოქვეყნებული ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ერთობლივი ცირკულარის თანახმად, ვრცელდება დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებში აპარატის მუშაკთა სტუმრობის, გამსვლელი ინსპექციების მოწყობის, სხვადასხვა ინსტანციას შორის საქმიანი კონტაქტების, თათბირების გამართვის შემთხვევებზე. ყველა რანგის კადრის მუშაკები უნდა იკვებებოდნენ ადგილობრივ სასადილოებში საერთო პირობებით, როცა ისინი „ასრულებენ სასამსახურო მოვალეობებს გასვლისას და ვერ ახერხებენ შინ ან სამუშაოზე სადილობას". ახალი დებულებების დარღვევას კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ქვეყნის მთავრობა მიიჩნევს სერიოზულ თანამდებობრივ გადაცდომად. ამ შემთხვევაში მიღებათა სრული ღირებულება უნდა აანაზღაურონ პირებმა, რომლებიც იგი მოაწყვეს, ხოლო ჩინეთის კომპარტიის წევრებს ამავე დროს პარტიული სასჯელიც დაედებათ. ახალი დებულებანი არ ვრცელდება უცხოელთა დელეგაციების მიღების შემთხვევებზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პარიზი. ბოგოტაში გამოქვეყნდა თვრამეტი ისრაელელი და ბრიტანელი დაქირავებულის სახელები, რომლებსაც კოლუმბიის ხელისუფლებმა ბრალად დასდეს მებრძოლების მომზადება კოლუმბიის ნარკომაფიისათვის.**

გაზეთმა „პრენსა დე ბოგოტამ" სახელების გარდა გამოაქვეყნა ნაწყვეტი საიდუმლო პოლიციის მოხსენებიდან, რომელიც ქვეყნის შეიარაღებული ძალების მაღალი რანგის ოფიცრებს დაეგზავნათ.

● **ლონდონი. დიდმა ბრიტანეთმა გამოაცხადა, რომ წყვეტს მონაწილეობას 90-იანი წლების საბრძოლო ხომალდის შექმნის ნატოსეულ პროექტში.** როგორც ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, ეს გადაწყვეტილება პროექტის რეალიზაციის საწყის სტადიაზე მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობა დარწმუნდა მრავალმხრივი შეთანხმებით დადგენილ ვადებში ფრეგატის ნატოსათვის ერთიანი მოდელის შემუშავების შეუძლებლობაში.

● **ტოკიო. იაპონიის ორმა უდიდესმა პროფცენტრმა გამოაცხადა ერთობლივი მოსამზადებელი კომიტეტის შექმნა.** კომიტეტის ამოცანაა ახალი პროფგაერთიანების მოქმედების კურსის, წლიური ბიუჯეტისა და ხელმძღვანელ ორგანოთა სტრუქტურის შემუშავება. ეს პროფგაერთიანება ნოემბრის დამლევს ჩამოყალიბდა იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოსა (სოჰიო) და კერძო სექტორის პროფკავშირთა სრულიად იაპონიის ფედერაციის (რენგო) შერწყმის შედეგად.

● **სან-ფრანცისკო. თანამედროვე ეტაპზე სსრ კავშირის გარდაქმნის თავისებურებებსა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიკური თანამშრომლობის დასახულ პერსპექტივებს მიეძღვნა ლექციებისა და სემინარების ციკლი, რომლებიც გაიმართა პორტლენდში (ორეგონის შტატი).** არაოფიციალური „საბჭოთა კვირეული" მოაწყვეს ქალაქის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრმა და პორტლენდის უნივერსიტეტმა.

◆ აშშ

„პოსეიდონის" გამოცდა

ვაშინგტონი. შეერთებულმა შტატებმა მოაწყო ბალისტიკური რაკეტის „პოსეიდონის" საცდელი გაშვება ბირთვული წყალქვეშა ნავიდან „ალექსანდრე ჰამილტონი".

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლის ცნობით, გაშვება მოეწყო დაძირული რაკეტმზიდიდან, ატლანტის ოკეანის ამერიკის სანაპიროსაგან 50 მილის მანძილზე. გამოცდის მიზანი იყო სარაკეტო სისტემის მართვაში ეკიპაჟის მოქმედების დახვეწა.

ეს იყო 1968 წლიდან „პოსეიდონ" ბალისტიკური რაკეტის 86-ე გაშვება, რომელიც 65-ედ მოეწყო წყალქვეშა ნავიდან.

ამჟამად შეერთებული შტატების შეიარაღებაში არის „პოსეიდონ" კლასის 19 წყალქვეშა ნავი, რომელთაგან თითოეული აღჭურვილია გაყოფადი ქობინების მქონე 16 ბირთვული რაკეტით. მათი მოქმედების რადიუსი 2,8 ათას მილს აღემატება.

სპორტის ამბები

ფეხბურთის ბალდაზე

ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილია ევროპის საკლუბო ტურნირების მეორე წრის შედეგები. 29 სექტემბერს ციურიხში, უეფას შტაბბინაში გაიმართა წილისყრა. ამ პრესტიჟული გათამაშების მეორე წრეში საბჭოთა გუნდების მეტოქეები იქნებიან:

ჩემპიონთა თასი. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" — ავსტრიის „ტიროლი";

თასების მფლობელთა თასი. მოსკოვის „ტორპედო" — შვეიცარიის „გრასჰოპერსი".

უეფას თასი. გფრ-ს „კელნი" — მოსკოვის „სპარტაკი", იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა" — ვილნიუსის „ჟალგირისი", კიევის „დინამო" — ჩეხოსლოვაკიის „ბანიკი", გფრ-ს „შტუტგარტი" — ლენინგრადის „ზენიტი".

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს წილისყრის ზოგიერთი სხვა შედეგიც. ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დაწყვილდნენ სახელგანთქმული კლუბები — იტალიის „მილანი" და მადრიდის „რეალი", რუმინეთის „სტიაუა" და ჰოლანდიის „ეინდჰოვენი". თასების მფლობელთა თასზე ერთმანეთს შეხვდებიან ესპანეთის „ბარსელონა" და ბელგიის „ანდერლეხტი", იტალიის „სამპდორია" და გფრ-ის „ბორუსია".

აქვე გაგაცნობთ პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტურის რამდენიმე შედეგს. ლანჩხუთის „გურიამ" ანგარიშით 1:0 დაამარცხა აბოვიანის „კოტაიკი", სტავროპოლის „დინამომ" — ქუთაისის „ტორპედო" — 2:0. ლანჩხუთელთა ძირითადმა კონკურენტმა — ალმაათის „კაირატმა" საკუთარ მოედანზე ქულა დაკარგა ორჯონიკიძის „სპარტაკთან" — 1:1.

დღეისათვის სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას ცსკა — 52 ქულა 34 თამაშიდან. ამდენივე მატჩში „გურიამ" 49 ქულა აიღო და კვლავ მეორე ადგილზე გადაინაცვლა. 48 ქულით მესამე ადგილზეა „კაირატი", რომელმაც 35 შეხვედრა გამართა. ერთი სიტყვით, „გურიას" უმაღლეს ლიგაში გადასვლის კარგი შანსი აქვს და ვიმედოვნებთ, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებს.

კიდევ ერთი ცნობა ფეხბურთზე. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებს ოთხი ქვეყანა — ბრაზილია, საფრანგეთი, შვეიცარია და მაროკო. ფიფა ჯერჯერობით უპირატესობას მაროკოს ანიჭებს. საქმე ის არის, რომ აფრიკის კონტინენტზე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი არასოდეს გამართულა.

მოკლედ

კალათბურთი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურში თბილისის დინამოელებმა განმეორებითი შეხვედრაც წააგეს ტალინის „კალევთან" — 75:84 (44:50). ეს თბილისელთა ზედიზედ მეოთხე მარცხია. გაგაცნობთ კიდევ რამდენიმე მატჩის შედეგს: დონეცკის „შახტიორი" — რიგის ვეფ — 87:107 (36:51), ცსკა — ალმა-ათის აცკ — 97:64 (44:35), კაუნასის „ჟალგირისი" — მინსკის რტი — 98:108 (50:54).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

ამ ბოლო დღეებში ქალაქ ცხინვალში მიმდინარეობდა უსანქციო მიტინგები, რომლებმაც მოშალეს მთელი რიგი საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობა, შექმნეს რესპუბლიკაში ვითარების დესტაბილიზაციის წანამძღვრები. მიტინგზე გამოითქვა ცალკეული მიუღებელი მოთხოვნები, რომლებიც ვერ უწყობენ ხელს წესრიგისა და ნორმალური ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შენარჩუნებას.

ჯეროვანი საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად ავტონომიურ ოლქში ჩამოვიდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები, გაძლიერდა პატრულირება. ამ მოვლენების დროს ექსცესები არ მომხდარა.

ამჟამად მდგომარეობა კალაპოტში დგება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფი.

ავარია ზღვაში

ვლადივოსტოკი, 30 სექტემბერი. (საქდესის კორ.). იოკაგამის მახლობლად საბჭოთა კონტეინერმზიდთან „მიხეილ სვეტლოვთან" შეჯახების შემდეგ ჩაიძირა იაპონური ბუქსირი, რომელზეც ეკიპაჟის სამი წევრი იყო. ეს მოხდა 28 სექტემბერს 20 საათზე ადგილობრივი დროით, როცა დატვირთული კონტეინერმზიდი სამიძუს ნავსადგურიდან იოკაგამისაკენ მიემართებოდა. „მიხეილ სვეტლოვი" არ დაზიანებულა, მაშველი სამსახურები ეძებენ ბუქსირის ეკიპაჟს. იაპონიის მხარე საბჭოთა წარმომადგენლებთან ერთად შემთხვევის გამოძიებას დაიწყო.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — კვირა, 1 ოქტომბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.05 — დილის გასართობი პროგრამა. 11.00 — „საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის". 11.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მე მოვედი". 12.35 — კინოაფიშა. 13.05 — საკვირაო გამოფენა. 13.10 — სასწავლო წლის წინ. 13.40 — მუსიკალური ფოსტა. 14.40 — საკვირაო გამოფენა. 14.45 — „ვეტნიკი". 15.15 — საკვირაო გამოფენა. 15.20 — „კრებაზე და კრების შემდეგ". 15.50 — „სამხრეთის საზღვრის სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.35 — „ექო". 17.05 — „მუსიკალური აფიშა". 17.55 — თელავის მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა". 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" — მინსკის „დინამო". შესვენებისას (19.45) „ძილისპირული". 20.45 — მოამბე. 21.20 — „ხვალ სწავლა იწყება". დიალოგი საქართველოს სახალხო განათლების მინისტრთან გ. ენუქიძესთან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ეს სიმღერაა საქართველოსი". 22.45 — ხალხური შემოქმედება. „304-ე ოთახი".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.15 — დილის ვარჯიში. 9.45 — სპორტლოტო. 10.00 — „დილაადრიან". 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — ალმანახი „მსოფლიოს გარშემო". 13.30 — მხატვრული ფილმი „ფერიის საშემოდგომო საჩუქარი". 15.00 — მუსიკალური კიოსკი. 15.30 — ღია კარის დღე. 16.15 — მულტფილმები. 16.30 — ჩინეთის ეროვნული დღესასწაულისათვის. კინოპროგრამა. 17.30 — „ცისარტყელა". ჩინური ხალხური ცეკვა „იანგე". 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მღერის და ცეკვავს ახალგაზრდობა. 20.00 — კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. 22.00 — „ვრემია". 22.55 — ეთერშია მუსიკა. 23.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. 0.25 — ეთერშია მუსიკა. გაგრძელება.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მხატვრული ტელეფილმი „უკანასკნელი შეხვედრა" (გდრ). 10.45 — ხალხური მელოდიები. 11.00 — „ჩვენი საწუხარი დედამიწა". დოკუმენტური ფილმი. 12.00 — ახალი ამბები. 12.10 — ესტონეთის სსრ საქტელერადიო. მ. მუსორგსკი. ფილმ-სპექტაკლი „ხოვანშჩინა". შესვენებისას (14.00) ახალი ამბები. 15.10 — მხატვრული ტელეფილმი „შენი შვილი, დედამიწავ"! მესამე და მეოთხე სერია. 16.25 — რუსეთის სფსრ ქალაქების ტელესტუდიები. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — ამერიკის ჩემპიონატი კალათბურთში. 19.10 — მულტფილმები. 20.55 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — თუ თქვენ გადასცდით... 22.00 — „ვრემია". 22.55 — მხატვრული ფილმი. 0.25 — ეს მსოფლიოს აწუხებს. 0.40 — ფრენბურთი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10515 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 ~~8 9~~ 10 11 12 13 14